საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 8 იანვარი. 2024 წ. №3 (9683) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

საღდეისო შეგონებანი

ღმერთს განშორებული სული კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული...

იხ. 6-7 გვ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე:

რომის პაპი ფრანცისკე:

იესოს დაბადებამ აღგვავსოს მშვიდობით!

რომის პაპი ფრანცისკე შობის დღესასწაულს ულოცავს მათ, ვინც მაცხოვრის შობას იულიუსის კალენდრის მიხედვით 7 იანვარს აღნიშნავს. რომის პაპმა ამის შესახებ ვატიკანში საკვირაო ლოცვის შემდეგ, წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილებისადმი მიმართვისას ისაუბრა.

„დღეს აღმოსავლური ეკლესიები, რომლებიც მისდევენ იულიუსის კალენდარს, ზეიმობენ შობის წმინდა დღესასწაულს. სასიხარულო ძმობის სულისკვეთებით, ვისურვებ, რომ უფალი იესოს დაბადებამ აღგვავსოს სინათლით, მოწყალებითა და მშვიდობით“, – აღნიშნა რომის პაპმა.

ქადაგებისას პონტიფიკოსმა ჩვეულებისამებრ მშვიდობა უსურვა უკრაინას, პალესტინასა და ისრაელს. წმინდა პეტრეს მოედანზე რომის პაპის ქადაგებას 12 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა.

ქვეყნის მთავარი პრობლემა!

ერი ილუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი!

„გადაბრუნებული ურემი“ ისევ ამოსათრევია ლაფიდან!

5

ენგურჰესის ბნელი მხარე...

5

ბოლო 30 წლის კატაკლიზმების, მათ შორის 1992-93 წ.წ. კონფლიქტისა და 2008 წლის აგვისტოს ომის მიუხედავად თბილისს, არც ერთხელ არ მიუმართავს აფხაზეთის წინააღმდეგ ენერგეტიკული შანტაჟისთვის, – მეტიც, ყოველთვის დათმობაზე მიდიოდა და ეხმარებოდა სოხუმს.

აფხაზეთი ყველაფერს კარგავს!

ო, დედამიწავ, უფრო გვაშინებ!..



5

2024 - ახალი ციკლის დასაწყისი: რა ელის სამყაროს უახლოეს 20 წელიწადში

„საკადრო შიმშილი“, ბუნებრივი კატასტროფები, სულიერი სტრესი!!!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ:
ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ.

როგორც ღარიბაშვილი აღნიშნავს, იესო ქრისტეშობა სიყვარულისა და სათნოების ზეიმია, რომელსაც ყველა მომავლის რწმენითა და სიკეთის მოლოდინით ვხვდებით.

„ქრისტეშობას ვულოცავ სრულიად საქართველოს! მაცხოვრის შობა მართლმადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია, რომელსაც საქართველოში გულწრფელი სიხარულით ვეგებებით და აღვნიშნავთ. იესო ქრისტეს შობა სიყვარულისა და სათნოების ზეიმია, რომელსაც ყველა მომავლის რწმენითა და სიკეთის მოლოდინით ვხვდებით. მინდა, გისურვოთ მედნიერება, გახარება და წინსვლა! უფლის წყალობა და მშვიდობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს სამშობლოს და თითოეულ თქვენგანს!“ – აღნიშნავს პრემიერი.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ:
ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲜᲔᲑᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ

ᲘᲨᲕᲐ ᲣᲤᲐᲚᲘ ჩვენს მხსნელად და იმედად, დაე, იშვას სიყვარული ჩვენს გულებში, იყოს მშვიდობა ქვეყანაში, კეთილდღეობა – ჩვენს ოჯახებში, – ამის შესახებ დედაქალაქის მერი კახა კალაძე სოციალურ ქსელში წერს.

როგორც კახა კალაძე აღნიშნავს, ღმერთმა ინებოს საქართველოს გაერთიანება და წინსვლა.

„შობას გილოცავთ! იშვა უფალი ჩვენს მხსნელად და იმედად. უწმინდესის კურთხევით დანერგილი საშობაო ტრადიცია – ფანჯრებთან დანთებული სანთელი იმ დიდი სიხარულის სიმბოლოა, რასაც თითოეული ჩვენგანი ახლა განვიცდით. დაე, იშვას სიყვარული ჩვენს გულებში; იყოს მშვიდობა ქვეყანაში, კეთილდღეობა – ჩვენს ოჯახებში! ღმერთმა ინებოს საქართველოს გაერთიანება და წინსვლა! გილოცავთ ქრისტეშობას“, – წერს კალაძე.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ:
ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ.

როგორც სალომე ზურაბიშვილი აღნიშნავს, დღევანდელი დღე სიყვარულისა და სიკეთის სიმბოლოა.

„ყველა ქართველს და მართლმადიდებელ ოჯახს მთელ მსოფლიოში გილოცავთ შობას! დღევანდელი დღე სიყვარულისა და სიკეთის სიმბოლოა. თქვენს ოჯახებსა და ჩვენს ქვეყანას კეთილდღეობას და სიყვარულს ვუსურვებ. გილოცავთ ქრისტეშობის დღესასწაულს“!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ:
ᲨᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲕᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲐᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ.

„ქართული ოცნების“ ლიდერი საშობაო წირვას სამების საკათედრო ტაძარში დაესწრო.

ირაკლი კობახიძემ მადლობა გადაუხადა პატრიარქს საშობაო ეპისტოლესთვის და აღნიშნა, რომ, როგორც ყოველთვის, პატრიარქის ეპისტოლეში იყო მრავალი ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი.

„გილოცავთ შობას, ვულოცავ სრულიად საქართველოს, შობის მადლი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას. მადლობას გადავუხდი პატრიარქს ეპისტოლესთვის. როგორც ყოველთვის, პატრიარქის ეპისტოლეში იყო მრავალი ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი, საუბარი იყო რწმენის მნიშვნელობაზე, მშვიდობის მნიშვნელობაზე. პატრიარქმა საგანგებოდ უსურვა მშვიდობა უკრაინას, ახლო აღმოსავლეთს, ისევე როგორც სრულიად მსოფლიოს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს გზავნილები ჩვენთვის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საშობაო ლიტურგიას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐ�პᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲝᲚᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

შალვა პაპუაშვილმა საქართველოს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მიულოცა შობის დღესასწაული.

„შობის დღესასწაულს ვულოცავ სრულიად საქართველოს. დღეს არის მნიშვნელოვანი დღე, როდესაც კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ღმერთი არის თითოეული ჩვენგანის გულში. სიკეთე, სიყვარული უნდა სუფევდეს ჩვენს ოჯახებში, ჩვენს სამშობლოში და აი ამ შეგრძნებით უნდა ვიცხოვროთ ყოველდღიურად“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

შალვა პაპუაშვილმა ყურადღება გაამახვილა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლეზე.

„გუშინ პატრიარქმა თავის ეპისტოლეში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს გაუსვა ხაზი მათ შორის იმას, რომ დღეს მთლიანად სამყარო არის გამოწვევის წინაშე. არ არის სიმშვიდე სხვადასხვა რეგიონში და განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში, ამიტომ ყველამ უნდა დავაფასოთ და გავუფრთხილდეთ მშვიდობას და ვეცადოთ, რომ ეს მშვიდობა ჩვენს გულებში, ჩვენს ოჯახებში და ჩვენს სამშობლოში იყოს“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ალილოს მსვლელობა პირველი რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყო და სამების საკათედრო ტაძარში დასრულდა. შეგროვებული საჩუქრები და ტკბილეული ბავშვთა სახლებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დარიგდება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ!

ᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲐ.

ანდრია გასილაიამ ალილოს მონაწილეებს დღესასწაული მიულოცა და საშობაო ნობათი გადასცა. ალილოს საქართველოში ისტორიული ფესვები აქვს. სადღესასწაულო მსვლელობა თბილისში წლებია იმართება.

ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲮᲣᲪᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲠᲘ�გᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲪ ᲐᲚᲘᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡᲙᲔᲜ �გᲐᲔᲛᲐᲠᲗᲜᲔᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ. ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲗᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲨᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ.

ალილოს მსვლელობისას მიღებული შემოწირულობა ბავშვთა სახლებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და მოხუცთა თავშესაფრებში გადანაწილდება.

ქრისტეშობის დღესასწაულის საზეიმო მსვლელობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2000 წლიდან აღინიშნება.

„საკადრო შიმშილი“, ბუნებრივი კატასტროფები, სულიერი სტრესი!!!

2024 – ახალი ციკლის დასაწყისი:

რა ელის სამყაროს უახლოეს 20 წელიწადში

დღეს ბევრი საუბრობს იმ რადიკალურ ცვლილებებზე, რომლებიც 2024 წლიდან დაიწყება და მთელი 20 წელი გაგრძელდება. რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება თადარიგის დაჭერა და მომავალი წლისთვის მომზადება, მით უფრო, რომ ამბობენ, თითქოს გააქტიურებული ქაოსის ენერგია არასტაბილურობას და მოვლენების სწრაფ, მოულოდნელ ცვლილებას გამოიწვევს მთელ მსოფლიოში.



2024 წლის საერთო პროგნოზი

2024 წლის 10 თვეერვალს მსოფლიო ახალ – ე.წ. გლობალური ტრანსფორმაციის ეპოქაში შეაბიჯებს, რომელიც საკმაოდ დიდხანს – 2044 წლამდე გაგრძელდება და არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების წესს შეცვლის, არამედ ახალ ფასეულობებსა და შესაძლებლობებსაც განსაზღვრავს.

მართალია, 2003-დან 2023 წლამდე სტაბილურობისა და მატერიალიზმის პერიოდი იყო, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ მატერიალურ სიკეთეს, მომხვეჭელობას და დაგროვების სურვილს ენიჭებოდა, მაგრამ 2024 წლიდან პრიორიტეტები შეიცვლება და მთავარი ფილოსოფიური აზროვნება, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება გახდება.

ფინანსები, ტექნოლოგიები, განათლება

მართალია, გასულ საუკუნეში რობოტებისა და მფრინავი ავტომობილების ნახვა მხოლოდ ფანტასტიკურ ფილმებში შეიძლებოდა, მაგრამ ბოლო ათწლეულში ფანტასტიკა ყოველდღიურ რეალობად იქცა, რადგან სწორედ ციფრულმა ტექნოლოგიებმა, ხელოვნურმა ინტელექტმა და მფრინავმა ობიექტებმა შეიძინეს განსაკუთრებული აქტუალურობა.

მეტიც, დუბაიში უკვე გამოიცადა მფრინავი ტაქსი და ამბობენ, თითქოს ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან მალე არა მხოლოდ მფრინავი ტრანსპორტით მგზავრობა, არამედ თანაშემწე-რობოტის დაქირავებაც შესაძლებელი იქნება, რომელიც ნებისმიერი სირთულის ფიზიკურ და ინტელექტუალურ სამუშაოს შეასრულებს.

ექსპერტების განცხადებით, 2024 წელს ახალი ელექტრონული ფულისა და ვირტუალური ვალუტის შემოღებაც იგეგმება, საზოგადოება კი, ორ ნაწილად გაიყოფა და მკაცრად გაიმიჯნება მდიდრებისა და ღარიბების სოციალურ ჯგუფებად, რადგან მხოლოდ ის მოიპოვებს კეთილდღეობას, ვინც გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას და ინოვაციების ოპერატიულად დანერგვას მოახერხებს, კონსერვატორული, სტაბილურობის მოყვარული ადამიანებისთვის კი, ვინც დინჯად და აუჩქარებლად მოქმედებასაა მიჩვეული, 20-წლიანი ტრანსფორმაციის ეპოქა უმძიმეს გამოცდად იქცევა. ამასთანავე, სწრაფი შედეგებისკენ სწრაფვა უკვე არსებულ სამეცნიერო მიღწევებსა და საგანმანათლებლო მეთოდებს გააუფასურებს, რაც საზოგადოებას პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული განათლების სისტემისა და ახალი პროგრამების შექმნას აიძულებს.

ჯანმრთელობა და სულიერი მოთხოვნილებები

მომავალი ეპოქის მთავარ მახასიათებლად სისწრაფე და მუდმივი სტრესი იქცევა, რაც სერიოზულად აზარალებს ორგანიზმს და განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ამიტომ აუცილებელი გახდება მუდმივად ბალანსის მოძიება, ემოციურ დატვირთვასთან გამკლავება და სულიერი წონასწორობის აღდგენის უნარის გამომუშავება.

აქტუალურობას შეიძენს ცხოვრების აზრის ძიება და ნიჭის განვითარება, ბუნებრივი რესურსების გააზრებული მოხმარება, საკუთარ თავსა და გარემოზე ზრუნვა. გაიზრდება მოთხოვნილება აზარტულ თამაშებსა და გართობის ინდუსტრიაზე, თუმცა განსაკუთრებულ პოპულარობას მაინც ე.წ. ინფლუენსერები შეიძენენ. მომრავლდებიან სულიერად და ინტელექტუალურად მოწიფული ადამიანები მაღალი ენერგეტიკითა და ცხოვრებისადმი სწორი დამოკიდებულებით, რომლებიც პროდუქტიულად შეძლებენ საკუთარი და სხვისი ცხოვრების ორგანიზებას.



ეკოლოგია

ნაკლებად სასიკეთოა ეკოლოგიური პროგნოზი, რადგან მოსალოდნელია მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, რისი მიზეზი პირველ რიგში კლიმატური ცვლილებები და კატაკლიზმები – წყალდიდობები, მიწისძვრები და წყლის დეფიციტი გახდება, გლობალური დათბობის შედეგად კი, დაშრება მდინარეები, რაც თავის მხრივ, გვალვასა და ხშირ ხანძრებს გამოიწვევს.

ბიზნესი, კარიერა

თუ აქამდე წარმატებას მეტწილად ახალგაზრდა მამაკაცები აღწევდნენ, 2024 წლიდან საშუალო ასაკის ქალბატონების ეპოქა დაიწყება, რომლებიც მაქსიმალურად შეეცდებიან ე.წ. „მამაკაცურ სფეროებში“ – პოლიტიკაში, სახელმწიფო სტრუქტურებსა და ბიზნესში გამარჯვების მოპოვებას, შესაბამისად გაძლიერდება ქალების ავტორიტეტი, რომლებიც მთელ მსოფლიოში და ნებისმიერ სფეროში შეძლებენ დომინირებას.

თუმცა, გართულდება ნამდვილი პროფესიონალების – ხარისხიანი განათლების მქონე ადამიანების მოძიება, რადგან ყველა უნარი ზედაპირული, ინფორმაცია კი – ზერელე, ნაკლებად სიღრმისეული იქნება. გაჩნდება ე.წ. „საკადრო შიმშილი“, გამოცდილი სპეციალისტები მუდმივ მონაცვლეობაში იქნებიან, 2-3 წელზე მეტს ერთ პოზიციაზე არ შეჩერდებიან, რადგან სწორედ მათ ექნებათ არჩევანის გაკეთების პრივილეგია.

გარდაქმნების ეპოქის კიდევ ერთ თავისებურებად იქცევა გუნდური მუშაობისა და ურთიერთობის ახალი ფორმების ჩამოყალიბება, წარსულს ჩაბარდება ცხოვრების ძველი სტილი და სტანდარტული სამსახურებრივი იერარქია, რადგან პრიორიტეტული გახდება დისტანციური მუშაობა.

ახალი ეპოქის ადამიანები

ცვლილებებს მხოლოდ მოქნილი, ძლიერი ფსიქიკის და შემოქმედებითი ნიჭის, მსუბუქი და მობილური ადამიანები მოერგებიან, რომლებიც სწრაფად შეძლებენ ინოვაციებზე რეაგირებას, დისტანციურად მუშაობასა და კომუნიკაციას.

მათ, ვინც მომავლის შიშის გარეშე შეძლებენ ადაპტირებას, ექნებათ სწრაფად გადაწყობის, თუმცა წონასწორობის შენარჩუნების უნარი, რადგან ახალ ეპოქაში ადამიანებს არა მხოლოდ ოპერატიულად მოქმედება, არამედ სიმშვიდის შენარჩუნება და ბალანსის დაცვაც მოუწევთ, რისი მიღწევა მხოლოდ ინტელექტის განვითარებით, ინდივიდუალური ნიჭისა და შესაძლებლობების წყალობით იქნება შესაძლებელი.

ერი ილუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი!

„გადაბრუნებული ურემი“ ისევ ამოსათრევია ლაფიდან!

გასული წლის „საოჯახო კალენდრის“ გოლო ფურცელზე მურმან ლეგანიძის ლექსი ამოვიკითხე, რომელიც წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) „ტანჯვით ამოძახილს“ („ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“) ეხმიანება:

„გვიან გავიღვიძეთ – მორბლეგაშვერილი,
გადაბრუნებული, ლაფში წევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი მავშვები ვართ,
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები.

გვიან გავიღვიძეთ – ჭიშკრები დაღებული!
(ტყემალზე თუ არა, ხომ ვისხედით ჭადარზე?!)
რის თავისუფლება?! სამშობლო წაგებული,
მიწები დაყიდული ლეკზე და თათარზე!

დროდადრო ლამის ტვინი ავასხა ცამდე, –
ეს ჩემი წყალ-ჭალა რომ მიაქვს, ვისთან მიაქვს?!
მწადს თავი გავუპო პრიმიტივს ამდენს
ზედ გადავუარო ამდენ ხისთავიანს!

გვიან გავიღვიძეთ – მორბლეგაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში წევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი მავშვები ვართ,
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები...“

მიუხედავად იმისა, რომ დედაეკლესიის ზარები დილის 6 საათიდან რეკავენ, როგორც ჩანს, მართლაც ძალიან „გვიან გავიღვიძეთ...“ (ან გავიღვიძეთ კი?!). ფაქტია, სანამ „გვეძინა“ მოქკავშირელებით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა ქართული მიწის გაყიდვა დაკანონა... (22.03.1996). იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ (საკაშვილმა) მაშინ ამაყად განაცხადა, ამისათვის „მსოფლიო ბანკი“ 200 მილიონ აშშ დოლარს გამოგვიყოფსო... (არადა, ჯონ პერკინსის წიგნში „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“, დეტალურად არის აღწერილი რა დღეში აგდებს „მსოფლიო ბანკი“ განვითარებად ქვეყნებს, რის გამოც „გაღვიძებისთანავე“ უარს აცხადებენ მასთან ურთიერთობაზე...). ვისაც კი იმ დროს საქართველოში „ეღვიძა“ და მიწის გაყიდვის წინააღმდეგი იყო, არც პოლიტიკოსებმა მოუსმინეს და გარედან დაფინანსებულმა „რეიტინგულმა“ მედიასაშუალებებმაც „დაბლოკეს“... (მაგ., თენგიზ ჩხეიძე, ოთარ საღარეიშვილი, ლევან ფრუიძე, ნოდარ ნათაძე, ილია კიკაბიძე, ალექსანდრე ბენდიაშვილი, ტაგუ მებურიშვილი, ნოდარ ეფრემიძე და სხვები).

შედეგად, რაც გადამთიელებმა საუკუნეების განმავლობაში შუბით და მახვილით ვერ წაგვართვეს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფულით კანონიერად დაისაკუთრეს. ფაქტია, სოფლები იცლება (გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოსთან შედარებით შობადობის მაჩვენებელი და სოფლად მცხოვრებთა რიცხვი განახევრებულია...), ქართველები „ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას“ მასობრივად ტოვებენ, ხოლო მათ ნასახლარებს არაბები, ინდოელები და ჩინელები იკავებენ... სასოფლო-სამეურნეო მიწას ვინ ჩივის, გათუმის ქუჩები, ფაქტობრივად, თურქებს, თბილისში კი აღმაშენებლის გამზირი – ირანელებს, ამაღლების ქუჩა – სლავებს, მაჩაბლის – ტაილანდელებს, ხოლო ჭონქაძის – სომხებს აქვთ უკვე „ოკუპირებული“... ვწუხვარ, მაგრამ უცხოელების მიერ დაფინანსებული „მიწის სისტემური რეგისტრაციის“ ძირითადი მიზანიც, მოქალაქეებისთვის საკუთრებაში მიწის ნაკვეთების გადაცემის შემდეგ მათი გაყიდვა ან ბანკებში აღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენება მგონია...

ვინც უკვე „გაიღვიძა“, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმასაც უნდა ხვდებოდეს, ვინ დარჩა მოგებული ქართველების აფსუებსა და ოსებთან დაპირისპირებით... (არადა, მეზობელი ქვეყნების მიერ მიტაცებულ-ოკუპირებული ქართული მიწებიც ჩვენი „პირველების“ გაყიდული მგონია...), მით უმეტეს, როდესაც სულ ახლახან ბიჭვინთაც და მიუსერაც უკვე „ფაქტობრივმა ხელისუფლებამ“ გაასხვისა „კანონიერად“...

არადა, ბიბლიური დანაწესია, რომ „მიწა არ უნდა გაიყიდოს, ვინაიდან ის უფალს ეკუთვნის, ხოლო ჩვენ მდგმურები ვართ მისი“... წინააღმდეგ შემთხვევაში,

„მიმოიფანტებით სხვა ხალხებში და შეგჭამთ თქვენი მტრების მიწა, ხოლო თქვენს მიწაზე სხვები დასახლდებიან... (ლევიანნი, 23, 32, 33, 38 და 39). ამასთან, ჯერ კიდევ სულხან-საბამ დაგვარიგა, „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს. მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მეოყვრება, მოცინარობს“, გრიგოლ რობაქიძემაც შენიშნა, რომ „ქართველის ყველაზე დიდი მტერი ქართველია“, ხოლო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ერთ-ერთ ადრინდელ საშობაო ეპისტოლეში შეგვახსენა, რომ „საერთოდ, უფრო მეტად გვმართებს ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენა, ვიდრე გულის კარნახით სიარული. ჩვენი ყოველი ნაბიჯი აწონილი და გამართლებული უნდა იყოს“.

ფაქტია, ფულს დახარბებული ჩვენი თანამემამულეების მიერვე „გადაბრუნებულ ურემს“ და „დაღებულ ჭიშკრებს“ ვერც გასულ წელს მივხედეთ, თუმცა „ნაციონალური („რევოლუციური“) დროშები“ ბევრი ვაფრიალეთ... ამასთან, ვინაიდან არც უკრაინაში დასრულდა „სპეცოპერაცია“ და არც ჩვენთან „ნაც-ქოცების“ დაპირისპირება, რუსები ღობეს ისევ თანდათან „აცოცებენ“, მათთან დალაპარაკების ნაცვლად კი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას „ევროკავშირის კანდიდატის სტატუსით“ ვაპირებთ (რომელიც მოსამართლეების „დასანქცირების“ მიუხედავად, თურმე „ქართველ ხალხს“ მოგვანიჭეს...), ხოლო პოლიტიკაში დაბრუნებულმა ივანიშვილმა მეხუთე პრეზიდენტი ამჯერად უკვე ოპოზიციის ლიდერად „დანიშნა“, როგორც ჩანს, წელსაც საკმაოდ რთული წელი გველის და მიწის საკითხისთვის არ გვეცლება... მით უმეტეს, „პროპორციული“ საპარლამენტო არჩევნები გველოდება და მიწის გაყიდვასთან ერთად, ახალი სახელმწიფო სიმბოლოების დამკანონებელი მესამე პრეზიდენტიც აქტიურად ჩაერთო წინასაარჩევნო კამპანიაში...

...რაც გადამთიელებმა საუკუნეების განმავლობაში შუბით და მახვილით ვერ წაგვართვეს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფულით კანონიერად დაისაკუთრეს. ფაქტია, სოფლები იცლება, ქართველები „ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას“ მასობრივად ტოვებენ, ხოლო მათ ნასახლარებს არაბები, ინდოელები და ჩინელები იკავებენ... სასოფლო-სამეურნეო მიწას ვინ ჩივის, ბათუმის ქუჩები, ფაქტობრივად, თურქებს, თბილისში კი აღმაშენებლის გამზირი – ირანელებს, ამაღლების ქუჩა – სლავებს, მაჩაბლის – ტაილანდელებს, ხოლო ჭონქაძის – სომხებს აქვთ უკვე „ოკუპირებული“...

არადა კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და რეალურად დამოუკიდებელი პიროვნებებით დაკომპლექტებული საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება ოკეანისგაღმელი „სტრატეგიული პარტნიორებისა“ და „ევროპელი მეგობრების“ წინაშე თავის მოსაწონებლად კი არა, ისევ „გადაბრუნებული ურმის პატრონებს“ გვჭირდება ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად.

ქართული მიწის გაყიდვის დაკანონებით გამოწვეული გულისტკივილი გურამ ფანჯიკიძემ ღიად გაგვანდო: „რად გვინდა სამშობლო, თუნდაც აყვავებული და აღორძინებული, სადაც ქართველები აღარ იქნებიან“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 31.10.1997), ხოლო კორუმპირებული თვისტომების თაობაზე მორის ფოცხიშვილს აქვს ნათქვამი, რომ:

„ურცხვნი ურცხვთა შორის ურცხვობენ,
„პორტფელში“ უსივდებათ „პორტმანი“,
ურცხვად მორჩილებენ უცხო თესლს,
ცოტანი ქართველობენ, ცოტანი“...

ქართული სახელმწიფოს მომავალი იაკობ გოგებაშვილსაც აწუხებდა და ერის „გაღვიძებას“ ჯერ კიდევ საუკუნის წინ ცდილობდა: „ჩვენი ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ჩვენ კი ძლიერ ღარიბნი ვართ. რადა? იმიტომ, რომ მოვლა არ ვიცით ამ ბუნებისა. სხვებმა იციან ეს მოვლა. ვინაიდან ერთი ათად მეტის გამორჩენის იმედი აქვთ, ფულს გვახარბებენ და ხელიდან გვაცლიან მიწა-წყალს. ამ მოვლენას ბოლო თუ არ მოვუღეთ, იგი ჩვენ თვითონ აგვიგებს ანდერძსა... თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, ის აუცილებლად გაქრება დედამიწის ზურგიდან. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისთვის და როგორც ხე, მოშორებელი ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“ (გაზეთი „ივერია“, №177, 1893).

ამდენად, მართალია „გვიან გავიღვიძეთ“, მაგრამ დროა, პოლიტიკოსებიც უფრო გონივრულად შევარჩიოთ და დარჩენილ ტერიტორიას, გადარჩენილ მიწა-წყალს მაინც გავუფრთხილდეთ...

ავთანდილ კახნიაშვილი,
სამართლის დოქტორი.

განგაშის პირველ გარს აფხაზეთში ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში შემოჰკრეს, როცა მოსკოვიდან დაბრუნებულმა დე ფაქტო ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოგგანმა მოსახლეობას სამწუხარო სიახლე გაანდო: ამჯერად სოხუმს გამთრის პერიოდში საჭირო დამატებით ელექტროენერგიაში რუსეთისთვის ფასის გადახდა მოუწევს; პირველი კონტრაქტი, რომელიც 30 მლნ კვტ/სთ-ის მიწოდებას ეხება, აფხაზეთს 135 მლნ რუბლი დაუჯდება, მეორე, 50 მლნ კვტ/სთ-იანი – 200 მლნ, ჯამში კი ენერგოდეფიციტის დასაფარად რესპუბლიკას დაახლოებით 900 მლნ რუბლი დასჭირდება (10 მლნ აშშ დოლარი), რაც აფხაზური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაახლოებით 8%-ს უტოლდება.

ენგურჰესის ბნელი მხარე...

ამ ფონზე დე ფაქტო ხელისუფლებამ სასწრაფოდ დაიწყო საუბარი ტარიფის მორიგ ზრდაზე. სხვათა შორის, იგი ამ დრომდე დაბალია. პირველი ცვლილება 2022 წელს მოხდა, როცა 1 კვტ/სთ-ის ღირებულება 40-დან 90 კაპიკამდე გაიზარდა, შემდეგ, 2023 წლის იანვრიდან – 1,30 რუბლამდე, ახლა კი საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთთან „სინქრონიზაციისა და ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროცესის ფარგლებში“ ტარიფი 4 რუბლამდე გაიზრდება.

ცეცხლს ნავთს ასხამს ენგურჰესის კასკადების სისტემაში შემავალი ერთ-ერთი ჰესის კერძო ინვესტორისთვის გადაცემის თემაც. პროექტის თანახმად, ობიექტი 50-წლიანი იჯარით გაიცემა, რის სანაცვლოდაც სოხუმი გენერაციის მხოლოდ 20%-ს მიიღებს. ამ ფონზე ოპოზიციამ, რომელსაც დე-ფაქტო ხელისუფლების მსგავსად, თბილისისადმი სიმპათიებში ვერ დაადანაშაულებ, განაცხადა, რომ სოხუმს უჯობს, დასჯერდეს თბილისის პირობას აფხაზეთისთვის გამომუშავების 50%-ის გამოყოფის თაობაზე. მაგრამ საკითხი ამ დრომდე გადაუჭრელია და მარტივი გადაწყვეტილებები აქ, როგორც ჩანს, არ არსებობს. აფხაზეთის ენერგეტიკის პრობლემას ხომ ერთდროულად რამდენიმე განზომილება აქვს: ადგილობრივი პოლიტიკოსების პოპულიზმი „ქართული საფრთხის“ თაობაზე და ანტიქართულ რიტორიკაზე ქულების ჩაწერის მცდელობა; რუსეთის სურვილი, აფხაზურ ენერგოსექტორს დაეპატრონოს; ზღვარგადასული კორუფცია დე-ფაქტო ხელისუფლებაში, რომელიც სისხლხორციელადაა დაინტერესებული სექტორის გაუმჭვირვალობაში; დასასრულს – თავად მოსახლეობა, რომელსაც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა არ სურს.

აფხაზური ენერგოსექტორი - თავის ტკივილი თბილისისთვის

ენგურჰესის კომპლექსი აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მთავარ წყაროს წარმოადგენს. სწორედ მასზე მოდის გენერაციის 95%, რაც რესპუბლიკის საჭიროების თითქმის 70%-ს ფარავს. ზემოაღნიშნული სადგურის გარდა, კომპლექსის შემადგენლობაში შედის 4 სადგურისგან შემდგარი კასკადიც. ამ 4-დან სადღეისოდ მხოლოდ ერთი – გადამცემი-1 მუშაობს, დანარჩენი სამი კი სრულადაა გაძარცული და კაპიტალურ აღდგენას საჭიროებს. ვინაიდან კომპლექსი უშუალოდ სამეგრელო-აფხაზეთის რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვარზეა განთავსებული, გამომუშავებული ელექტროენერგია თბილისსა და სოხუმს შორის იყოფოდა, პრინციპით 60%-40%.

ამასთან, სადგურების გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ხარჯების 100%-ს, სარემონტო და თანამშრომლების სახელფასო ხარჯების ჩათვლით, ფარავდა ქართული მხარე, რომელიც ენგურჰესს თავისი წილი ელექტროენერგიის საფასურსაც უხდიდა. აფხაზური მხარე კი გამომუშავების 40%-ს ისე იღებდა, რომ მის თვითღირებულებასაც კი არ იხდიდა. ამასთან, ბოლო წლებში სოხუმი საგრძნობლად აჭარბებს თავის 40%-იან ლიმიტს, და ესეც – უფასოდ. კერძოდ, რეგიონი ყოველწლიურად 3 მლრდ კვტ/სთ-ზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, რომელთაგანაც ენგურჰესის კომპლექსი აფხაზეთისთვის 2 მლრდ კვტ/სთ-ს უზრუნველყოფს, კიდევ 1 მლრდ კი რუსული ელექტროენერგიის იმპორტზე მოდის. ენგურჰესის კომპლექსში შემავალთა გარდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ელექტროსადგური მოქმედებს – რუსი ინვესტორის კუთვნილებაში არსებული სოხუმის ჰესი, რომელიც წელიწადში 120 მლნ კვტ/სთ-ს, ანუ ჯამური ოდენობის მხოლოდ 5%-ს იძლევა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მიღწეული შეთანხმება ელეტროენერგიის 60%/40% პრინციპით განაწილების შესახებ ითვალისწინებდა მხარეთა უფლებას, ენერგიის გარკვეული რაოდენობა საშეღავათო ტარიფით შეესყიდათ და არა უფასოდ მიეღოთ. ამასთან, თბილისსა და სოხუმს შეეძლოთ, შეთანხმებული წილების ფარგლებში ელექტროენერგია სურვილისამებრ განეკარგათ – მაგალითად, სიჭარბის შემთხვევაში გაეყიდათ.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ESCO) მონაცემებით, 2022 წელს ქვეყანაში 14,8 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია მოიხმარეს. გამომუშავებაზე მეტის მოხმარებასთან დაკავშირებით თბილისი ყოველწლიურად ელექტროენერგიის იმპორტს ახორციელებს და გასულ წელს 1,5 მლრდ კვტ/სთ-ზე მეტი შეისყიდა. ამასთან, იმპორტი ყოველთვის ზამთრის პერიოდზე მოდის, როცა ფასი გაზაფხულ-ზაფხულისაზე მნიშვნელოვნად მაღალია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვინაიდან თბილისი ზამთრობით აფხაზეთში არსებულ მწვავე ენერგოდეფიციტსა და სოხუმის ფინანსურ სირთულეებს ითვალისწინებს, ენგურჰესის მთელი ზამთრის გამომუშავება აფხაზეთის საჭიროებებს ხმარდება, თბილისი კი ამის გამო ზამთრის იმპორტში საგაზრო ღირებულებას - საშუალოდ 5 რუბლს იხდის. გარდა ამისა, თბილისს საკუთარი სახსრებიდან არაერთგზის სრულად ან ნაწილობრივ დაუფარავს რუსეთისთვის აფხაზეთისთვის მიწოდებული რუსული ელექტროენერგიის საფასური. 2019 წელს, მაგალითად, რუსეთიდან აფხაზეთს 69,4 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია მიეწოდა და თანხის დიდი ნაწილი (45 მლნ კვტ/სთ-ის ღირებულება) საქართველომ დაფარა. 2020 წლის დასაწყისში კი, როცა ენგურჰესი რამდენიმე კვირით გაჩერდა, თბილისმა ჯამური თანხის – 500 მლნ რუბლის (დაახლოებით 7,2 მლნ დოლარის) 20% დაფარა.

ბოლო 30 წლის კატაკლიზმების, მათ შორის 1992-93 წ.წ. კონფლიქტისა და 2008 წლის აგვისტოს ომის მიუხედავად თბილისს, არც ერთხელ არ მიუმართავს აფხაზეთის წინააღმდეგ ენერგეტიკული შანტაჟისთვის, – მეტიც, ყოველთვის დათმობაზე მიდიოდა და ეხმარებოდა სოხუმს.

არადა, ენგურჰესი – ეს დამოუკიდებელი იურიდიული პირია, რომელიც ფინანსური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ რთულ და ხარჯიან წარმოებას ახორციელებს. საქართველო ჰიდროელექტროსადგურის შესანახად ყოველწლიურად დაახლოებით 13 მლნ დოლარს ხარჯავს. ზამთრის პერიოდში მოხმარების იმ მზარდი მაჩვენებლების გათვალისწინებით, რომლებიც იმპორტის ხარჯზე იფარება, საქართველოს რეალური ხარჯი გაცილებით მაღალია. და ეს – იმ თანხების გაუთვალისწინებად, რომელიც ჰესზე სარემონტო სამუშაოებისთვის გამოიყოფა. თავად ენგურჰესმა გასულ წელს მოგება აჩვენა, ზარალიანი 2021 წლისგან განსხვავებით. კომპანიის საოპერაციო შემოსავალმა დაახლოებით 11 მლნ ლარი, ანუ 4,5 მლნ დოლარი შეადგინა, რაც ესოდენ გიგანტური ობიექტისთვის სასაცილო მაჩვენებელია.

ექსპლუატაციის წესების მკაცრი რეგლამენტის თანახმად, ყოველ 10 წელიწადში ენგურჰესი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, რომლის ღირებულება შეიძლება, ათობით მლნ ევროს აღწევდეს. ბუნებრივია, 4,5 მლნ-იანი შემოსავლის მქონე კომპანია მსგავს რემონტს ვერ გასწვდება. ენგურჰესს საქართველოს დასავლელი პარტნიორები ეხმარებიან, მაგრამ მათ მიერ გამოყოფილი გრანტები მხოლოდ თანადაფინანსებაა იმ საკრედიტო ვალდებულებებთან ერთად, რომლებიც, საბოლოო ჯამში, საქართველოს ბიუჯეტიდან იფარება. როგორც წესი, საქართველოს ხარჯები 70%-ს შეადგენს, დასავლური გრანტები – 30%-ს. მაგალითად, 2021 წელს ჰესის სადერივაციო გვირაბზე ჩატარებული სამუშაოები 45 მლნ ევრო დაჯდა, რომელთაგანაც ევროპული კომისიის გრანტით მხოლოდ 7 მლნ დაიფარა, 38 მლნ ევრო კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტს წარმოადგენდა.

ენგურჰესს უკვე ამოწურული აქვს ექსპლუატაციის ვადის ნახევარზე მეტი და გასულ წელს გერმანელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, ექსპლუატაციის ვადა სრულად 30 წელიწადში ამოეწურება. საჭირო გახდება კაშხლის დემონტაჟი, ვინაიდან მისი რღვევა ეკოლოგიური კატასტროფის რისკს წარმოშობს და პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის ათობით ათასი ადამიანის სიცოცხლეს სამეგრელოსა და აფხაზეთში. არადა, ესოდენ გრანდიოზული ნაგებობის დემონტაჟი ძალზე ძვირი ჯდება. მაგალითად, აშშ-ში რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი უმსხვილესი ძველი ჰესის დემონტაჟი 300 მლნ დოლარი დაჯდა, ანუ, ფაქტობრივად, მსგავსი მასშტაბის ახალი სადგურის მშენებლობის ღირებულების მესამედი. და თუ თბილისს ყოველწლიურად ახალი ენერგოსიმძლავრეები შემოჰყავს, აფხაზეთი რას მოიმოქმედებს 30 წლის შემდეგ?

ერთი სიტყვით, აფხაზების მიერ ელექტროენერგიის აუნაზღაურებელი მოხმარება არა მარტო ტარიფების ზრდას, არამედ მთელი საქართველოს სერიოზულ ენერგეტიკულ პრობლემებსაც იწვევს, აუარესებს რა ენგურჰესის ტექნიკურ მდგომარეობას. გარდა ამისა, როგორც შედეგი, იზრდება აფხაზეთის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე, ეს კი სოხუმისთვის დამატებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებს ქმნის.

მოსკოვს პედანტურად შეჰყავს სოხუმი ჩიხში

მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის სახით დაგროვებულ დავალიანებას აფხაზეთი რუსეთს იმ სახსრებიდან უფარავს, რომელიც ისევ მოსკოვის მიერ ყოველწლიურად გამოეყოფა „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში. ამ გზით რუსეთი აიძულებს სოხუმს, აფხაზური ენერგოსექტორი დაუთმოს, რაც მოსკოვზე სამხედრო-პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან ერთად, რუსეთს რესპუბლიკაზე აბსოლუტური კონტროლის დამყარების შესაძლებლობას მისცემს.

აი, რას წერდა ამასწინათ ამ თემაზე Telegram-ში „Абхазия Центр“-ი: „რუსეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურს ხშირად საქართველო იხდიდა, რომელიც აფხაზეთს თავის ტერიტორიად თვლის. სოხუმი მხოლოდ კულუარული მადლიერებით შემოიფარგლებოდა. და ეს „არიფობანა“ წარმატებით გრძელდებოდა. ახლა კი სქემა რატომღაც აღარ მოქმედებს“.

„ინვესტორის“ შეთავაზება ჰესი-2-თან დაკავშირებით იგივე ჟანრიდანაა. ნათელია, რომ რუსეთი არ დაუშვებს აფხაზეთში არავითარ სხვა ინვესტორს, რუსის გარდა. ამასთან, მოსკოვის მიერ სოხუმისთვის შეთავაზებული წილი – გამომუშავების 20% რეალურად, ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად დასაგუთებულია. თუმცა აქაც ჩნდება კითხვები: „კერძო ინვესტორი“ სოხუმს ამ 20%-ს უფასოდ მისცემს, თუ შეღავათიანი ტარიფით? სად წავა დანარჩენი 80% და რა ეღირება იგი? მისცემს თუ არა „ინვესტორი“ აფხაზეთს შესაძლებლობას, რუსულ ენერგიაში ფული არ იხადოს?

არადა, აფხაზეთში, პროფესიონალთა წრეებშიც კი გავრცელებულია მოსაზრება, რომ რესპუბლიკას უფასო ელექტროენერგია გააჩნია. ასე თვლის, მათ შორის, ყოფილი „პარლამენტარი“, ეკონომისტი ნატალი სმირი, რომელიც „უფასო გენერაციაზე“ საუბრობს. „თუ საკითხს არ გადავჭრით, თუ რუსეთს ენერგეტიკას არ გადავცემთ, ჩვენთვის ელექტროენერგია ფასიანი გახდება და საუბარია კოლოსალურ თანხებზე. თუ ენერგეტიკას ვთმობთ, ვალებს არ ვიხდით, ხოლო თუ არ ვთმობთ, გადახდა მოგვიწევსო“. ანუ, სოხუმში მიაჩნიათ, რომ თუ რუსეთი ენერგეტიკას ჩაიგდებს ხელში, აფხაზებს უფასო ელექტროენერგიას მისცემს, მაშინ, როცა დენი უფასო თავად რუსეთშიც კი არაა!

რუსეთის სახელმწიფო დოქტრინას, დაფუძნებულს „ენერგეტიკული ზე-დერჟავის“ კონცეფციაზე, არაერთხელ მოუხდენია ენერგეტიკის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების დემონსტრირება. ასე, მაგალითად, 2006 წელს საქართველომ სრული ძალით განიცადა, რას ნიშნავს რუსული ენერგოშანტაჟი. მაშინ ქვეყანა თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა ტოტალური ენერგოდეფიციტისგან თავის დასაღწევად. სწორედ უჩვეულოდ ძლიერი ყინვების პერიოდში რუსულ მხარეზე „აფეთქდა“ გაზსადენი და გადამცემი ხაზები, რომლითაც საქართველოს გაზი და ელექტროენერგია მოეწოდებოდა. ქვეყანა კვლავ წყვდიადსა და სიცივეში ჩაეშვა. და ეს არა შემთხვევითობა, არამედ პოლიტიკური „ავარია“ გახლდათ „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლების წინააღმდეგ. რუსულ ენერგოიარაღს კარგად იცნობენ ასევე მოლდოვა, უკრაინა და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომელთათვისაც მოსკოვს ზამთრის პერიოდში არაერთგზის გადაუკეტია გაზის ონკანი. ნუთუ ეს სოხუმისთვის გაკვეთილი არ უნდა იყოს?!

ბოლო 30 წლის კატაკლიზმების, მათ შორის 1992-93 წ.წ. კონფლიქტისა და 2008 წლის აგვისტოს ომის მიუხედავად თბილისს, არც ერთხელ არ მიუმართავს აფხაზეთის წინააღმდეგ ენერგეტიკული შანტაჟისთვის, – მეტიც, ყოველთვის დათმობაზე მიდიოდა და ეხმარებოდა სოხუმს.

დროა, აფხაზეთმა დაიწყოს რეალობის გაცნობიერება: ენერგოვალების ჩიხში მომწყვდეულს, მას მოუწევს, მოსკოვს ყველაფერი დაუთმოს, მაგრამ ვერც ეს უზრუნველყოფს სოხუმს სამომავლოდ უფასო ელექტროენერგიით და თუ აფხაზეთს სურს, ყველაფერი არ დაკარგოს, აუცილებელია, პასუხისმგებლიანი და სათუთი მიდგომა გამოიჩინოს საერთო სიმდიდრის – ენგურჰესის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ ანათებს მდინარის ორივე მხარეს.

რაჟდენ ქაჯაია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე:

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრეგს გარეთ მცხოვრეგ თანამემამულეთ:

„იხარებდით მართალნი, მხიარულ იყვენით ცანი, იმღერდით მთანი, მეუფე იშვა, ქრისტე, ქალაქსა დავითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა“

(უძველესი იადგარი)

მოვედით ერნო, რათა მადლიერებით მოვიხსენოთ ადამიდან დღემდე ყველა, ვინც სათნო ეყო ღმერთს – წმინდა მამანი და დედანი, ის ოჯახები, რომელთა მემკვიდრეობაშიც ინება უფალმა განხორციელება, მოვიხსენოთ წმინდანები, რომელთაც წინასწარ გვიქადაგეს ღვთის სიტყვის ხორცშესხმა და ის უცნობი მოძღვარნი და ერისკაცნი, რომელნიც ქრისტეს მოსვლის მოლოდინს სასოებით გადასცემდნენ თაობებს.

ესენი ძირითადად იყვნენ იმ პერიოდის მსოფლიოში ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი ერთადერთი ერის, ისრაელის, შვილნი. მართალია, იშვიათად სხვა ხალხებშიც არსებობდნენ სულიერებით გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ მხოლოდ ამ წიაღმა შეძლო, უწყვეტად შეენარჩუნებინა კავშირი ღმერთთან და ჩირაღდნად ქცეულიყო მთელი წარმართული კაცობრიობისთვის; იმ კაცობრიობისათვის, რომელმაც არაერთი ცივილიზაცია შექმნა და რომელსაც საოცარი მიღწევები ჰქონდა ფილოსოფიაში, სამეცნიერებებში, მწერლობაში, ხელოვნებაში...

მაინც რით შეძლო, ერთი შეხედვით, უბრალო ერმა, გამორჩეული ყოფილიყო ასურეთის, ბაბილონის, სპარსეთის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, ბერძენთა, რომაელთა და სხვა იმპერიებთან შედარებით?

ამ იმპერიებში დაკარგული იყო უმთავრესი – ჭეშმარიტი ღვთის ცოდნა. ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილი დიდი განვითარების მიუხედავად, ნარმართული საზოგადოება უდიდესწილად იყო ძალადობრივი, ჩაგვრითი, ეგოცენტრული, თავის თავზე ორიენტირებული.

ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ძლიერი ხელისუფალი თუ პიროვნება იმონებდა სუსტს; იმპერატორებს სხვათა ტერიტორიებისა და მათი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ; იყო გაუთავებელი ომები, შური, ღალატი, ვერცხლისმოყვარეობა, აღვირახსნილი ცხოვრება და გაუკუღმართებული ურთიერთობები; ადამიანის ღირსება – გათელილი და გაუფასურებული, დაბალი ფენის მამაკაცები და, განსაკუთრებით, ქალები – მოხმარების საგნად ქცეულნი.

ყოველივე ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემობა, რომ წარმართული „ღმერთებიც“ მიწიერნი იყვნენ, რომელთათვისაც უცხო არ იყო ადამიანური ვნებანი. სულიერი ხსნა კი არსად ჩანდა და სიცოცხლესაც არ ჰქონდა აზრი.

ასეთ მძიმე გარემოში, მართალია, დიდი დაცემებით, მაგრამ მაინც ახერხებდა იაკობის მოდგმა, თავის წიაღში დაეცვა ცხოვრების საღვთო, სარწმუნოებრივი წესი, მოყვასის სიყვარული, შეენარჩუნებინა მესიის მოსვლის მოლოდინი, მოლოდინი გადარჩენისა და განცდა იმისა, რომ ამქვეყნადაც ყველაფერი და თვით სამეფო საყდარიც ზეციურ უფალს უნდა ეკუთვნოდეს და იგი უნდა იყოს ერის წინამძღოლი; რომ ხელისუფალნიც, მოძღვარნიც, წარჩინებულნიც და რიგითი მოქალაქენიც, თავისი მოვალეობისამებრ, მის ნებას უნდა აღასრულებდნენ. ეს ყოველივე მთელი სისავსით მეფეთა შორის ყველაზე ნათლად წმინდა დავით წინასწარმეტყველს ჰქონდა გაცნობიერებული. როდესაც იგი შაბათობით აღთქმის კიდობნის წინ ლოცვად დგებოდა, სამღვდელოებისა და ერის წინაშე ხმამაღლა შეჰღაღადებდა ხოლმე შემოქმედს:

„შენი მეფობა (ღმერთო), მეფობაა ყველა საუკუნეზე და შენი სუფევაა ყველა თაობაზე“ (ფს.144,13); „უფალს ეკუთვნის მეფობა და ის არის ხალხთა მბრძანებელი“ (ფს.21,29) და სხვა.

მან ეს ლოცვები, რომლებიც ზეციური მეუფისა და მისი სასუფევლისადმი იყო მიმართული, სავალდებულოდ დაუწესა თავის შთამომავალ მეფეებსაც და ხალხსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე რომელ ქვეყანასაც ისრაელის მცირერიცხოვან ერთან ჰქონდა შეხება, თუნდაც იგი დამპყრობელი ყოფილიყო, ისრაელი ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობით მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მასზე და საყოველთაო გადარჩენის მოლოდინს აღვიძებდა ყველაში.

შეგახსენებთ ერთ მონაკვეთს ბაბილონის ცნობილი მეფის ცხოვრებიდან:

ბაბილონის იმპერიის ზეობის პერიოდში მას ნაბუქოდონოსორი განაგებდა. მან მრავალი სამეფო დაიმორჩილა, მათ შორის, იუდეაც და დაპყრობილი ქვეყნებიდან მძევლად წაიყვანა ხელისუფალთა შვილები და ნიჭიერი ახალგაზრდები. ყმაწვილებს შორის იყო დანიელიც იუდეადან – წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, გონიერი, მოსეს სჯულის მტკიცე დამცველი ჭაბუკი.

ერთხელ ნაბუქოდონოსორმა უცნაური და მრავლისმთქმელი სიზმარი ნახა. შეძრწუნებულს გამოეღვიძა და მის ასახსნელად თავისი სამფლობელოს ყველა მისანს, ქურუმს, მოგვსა და ვარსკვლავთმრიცხველს უხმო. უნდოდა, მათგან სიმართლე მოესმინა, ამიტომაც მეტად უცნაური რამ მოსთხოვა: მათ უნდა გამოეცნოთ, თუ რა სიზმარი იხილა მბრძანებელმა, და აეხსნათ მისი მნიშვნელობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას სიკვდილი და სახლ-კარის გადაწვა ემუქრებოდა.

სასახლის შეშინებულმა ბრძენკაცებმა შეჰბედეს მეფეს და უთხრეს: მსგავსი რამ არავის არასდროს მოუთხოვია. თქვენს სურვილს კაცთაგან ვერავინ შეასრულებსო.

ნაბუქოდონოსორმა ყველას წამება ბრძანა.

ვიდრე მისი განკარგულება აღსრულდებოდა, წინასწარმეტყველმა დანიელმა ითხოვა მეფესთან შეხვედრა და, სიკვდილისჯილთა გათავისუფლების სანაცვლოდ, სიზმრის ახსნა აღუთქვა, რადგან მან და მისმა მეგობრებმა ზეციური ღმერთისგან გამოითხოვეს შემწეობა ამ საიდუმლოს გასაგებად და უფალმაც დანიელს განუცხადა დაფარული.

ჭაბუკმა უთხრა მეფეს, რომ სიზმრით უფალმა აუწყა იმ დღეთა და ხელმწიფებათა შესახებ, რომლებიც მის შემდეგ იქნებოდნენ. კერძოდ, იხილა დიდი და საოცრად ელვარე, მაგრამ საშინელი შესახედაობის ქანდაკება, კერპი, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, ხელები და მკერდი – ვერცხლის, მუცელი და თეძოები – სპილენძის, ხოლო ქვედა კიდურები – რკინისა და, ნაწილობრივ, თიხის. შორიახლოს იყო მთა, საიდანაც თავისით, ხელის უკვრელად ლოდი დაგორდა, კერპს რკინისა და თიხის ფეხებზე დაეცა და იგი ერთიანად შემუსრა. შემდეგ ეს ლოდი დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აღავსო.

ჭაბუკმა წინასწარმეტყველმა ისიც განუმარტა მბრძანებელს, რომ ნანახი კერპი ოთხი იმპერიის სიმბოლო იყო. ოქროს თავი მას და ბაბილონს განასახიერებდა, დანარჩენები კი, შედარებით ნაკლებნი, იმ იმპერიებს, რომლებიც ბაბილონის შემდეგ აღორძინდებოდნენ (იგულისხმება სპარსეთის, საბერძნეთის, რომის) და რომ მეოთხე იმპერიის ზეობისას ამქვეყნად მოიწეოდა მეუფება მარადიული და ჭეშმარიტი, რომელიც შემუსრავდა ყველა სამეფოს დედამიწაზე, თვითონ კი უკუნისამდე იარსებებდა.

ნაბუქოდონოსორი გაოცებული და შეძრული იყო მოსმენილით. იგი დაემხო მიწაზე და აღმოთქვა: „ჭეშმარიტად, ღმერთთა ღმერთია თქვენი ღმერთი და მეფეთა მეუფე“. შემდეგ კი დანიელი დანიშნა თავის კარზე მთავარ მრჩევლად.

მართალია, მეფემ აღიარა ძლიერება ჭეშმარიტი ღვთისა, რომლის სიდიადე სხვა დროსაც კიდევ რამდენიმეჯერ იხილა, მაგრამ წინაპრების კერპებს მაინც ვერ განეშორა, თუმც იუდეველთა რწმენის პატივისმცემელი გახდა და აღარ აიძულებდა მათ, ბაბილონის პანთეონისთვის ეცათ თაყვანი.

ამ ამბებზე მთელი ბაბილონი საუბრობდა – ხალხიც, სიკვდილს გადარჩენილი მოგვებიც და სხვა ბრძენნიც ისტორიებს თაობიდან თაობებს გადასცემდნენ.

მათ წინასწარმეტყველ დანიელისგანვე იცოდნენ, რომ ის სიზმრისეული ლოდი შვიდ შვიდათეულში, ანუ 490 წელიწადში განეცხადებოდა სამყაროს; ამიტომაც, როდესაც ეს დრო დადგა და იხილეს უჩვეულო ვარსკვლავი, მოგვებმა იგრძნეს ჟამის მოახლოება; სამეფო ძღვენი – გუნდრუკი, ოქრო და მური თანაწარიღეს და ვარსკვლავს გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიგებებად მესიისა.

და მართლაც, ნაბუქდონოსორის სიზმრის მეოთხე სამეფოს, რომის იმპერიის, ბატონობის პერიოდში, I საუკუნეში, იუდეაში, დავით მეფის ქალაქად წოდებულ ბეთლემში, კაცობრივი ბუნების მიღებით, ადამის მოდგმის გადასარჩენად მოგვევლინა ძე ღვთისა. იგი სიმბოლურად დანიელ წინასწარმეტყველის სიზმრის ლოდია (დან. 2.45), რომელიც თავისთავად მოსწყდა მთას (იგულისხმება მისი უბიწოდ შობა ღვთისმშობლისგან) და დედამიწა აღავსო.

ქვაბულში, პირუტყვის ბაგაში მწოლი ჩვილი – უფალი იესო ქრისტე საოცარი სიმდაბლით წარუდგა მსოფლიოს, რათა თავისი ხორციელი მყოფობის პირველივე წუთებიდან კაცობრიობისთვის მიეცა მაგალითი თავმდაბლობისა, უბრალოებისა და თავისი ქმნილებისადმი განუზომელი სიყვარულისა.

იესოს ამქვეყნად მობრძანებით, ერთი მხრივ, აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი, გარკვეული აზრი მიეცა თვით წინაქრისტიანულ ეპოქათა მიღწევებსაც, რადგან, ღმერთთან მარადიული თანამყოფობის შესაძლებლობის მოტანით, აზრი მიეცა სიცოცხლეს; ამასთან, ქრისტეს ეკლესიის სახით სათავე დაედო მაცხოვნებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.

„ეიქეთ ეიქვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და ეიქეთ ეიქვარე მტერიც! ეიქუნდე მონანულს, „არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით“ (რომ.12, 17-18).

„არა არს ჰურიაება, არცა წარმართებება, არა არს მონებება, არცა აზნაურებება, არა არს გარჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3,28) – აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მახვილივით განკვეთა ძველი სამყარო.

სული კვდება!

მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც სამოთხეში ჩადენილი ცოდვით შეშღალულ შემოქმედის ხატებასა და მსგავსებას თავის თავში განაახლებს, ანუ ღვთისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარულით აღვსილი (იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი და არა მხოლოდ თავისი ერის წარმომადგენელი, როგორც ეს ძველ აღთქმაში იყო), ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლული და აღსარებითა და ზიარებით მასთან დაკავშირებული მაცხოვრის მცნებებით ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

„არა არს ჰურიაება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს გარჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (გალ.3,28) – აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მახვილივით განკვეთა ძველი სამყარო.

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და შეიყვარე მტერიც! შეუნდე მონანულს, „არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით“ (რომ.12, 17-18).

თუ გსურს პირველობა ან უპირატესად ყოფნა, გახდი ყველას მსახური (ანუ – თავმდაბალი ყველას მიმართ), დაიცავი გულის სიწმინდე, ნუ გააკეთებ სიკეთეს საჩვენებლად და გაეცი მოწყალება უშურველად, სამაგიეროს მიღების სურვილის გარეშე; იცხოვრე სხვისთვის, როგორც ცხოვრობ საკუთარი თავისთვის, ხოლო ვინც შეძლებს, თავი გაწიროს სხვისთვის, იგი უმაღლეს სათნოებას მოიპოვებს – ასეთი რამ მანამდე არ სმენია კაცობრიობას.

ეს იყო მაცხოვრისგან ადამიანთა აზროვნების რადიკალურად შემობრუნების შეთავაზება, შეთავაზება სულ სხვა სიმაღლისა, სულ სხვა დიდებისა; გაცხადება მისთვის ჭეშმარიტი ღვთისა და ჭეშმარიტი ადამიანობისა.

კაცობრიობას ეს რომ გაეცნობიერებინა და თითოეულ ჩვენგანს ამისთვის მიეღწია, იესო გახდა სრული ადამიანი (ცოდვის გარეშე), რათა ჩვენ გავმხდარიყავით მადლით ღმერთნი;

ეს ურთულესი პროცესია და დიდ ძალისხმევას ითხოვს, რადგან ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდება, მით უმეტეს – მართლმორწმუნეს.

შეიძლება თქვენ დიდ ცოდვაშიც ჩავარდეთ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამღუპველი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმავალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს. ამიტომაც არ შეეგუოთ დაცემას და ღვთის იმედი მუდამ გქონდეთ.

გწამდეთ, უფალი ყოველგვარ ტკივილს სიკეთედ და ჩვენი სულიერი წინსვლის საშუალებად აქცევს, თუ ლოცვითა და სინანულით დავითმენთ განსაცდელს და მაცხოვრის სწავლებით წარვემართებით.

* * *

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა და გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მრავალი ქვეყნის ისტორიაში, მათ შორის, ევროპის და სხვა სახელმწიფოთა ფორმირებაში; მაგრამ უფლის მეორედ მოსვლამდე, ანუ მარადიული სასუფევლის დამყარებამდე, მუდმივად იქნება გრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მუდმივად დაგვჯირდება სულ უფრო მეტი ძალისხმევა სიწმინდის დასაცავად, რადგან ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი დრო.

სამყარო ყოველთვის წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი მათგანი მსოფლიო კატასტროფად იქცეს და მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, გვმართებს ზრუნვა მშვიდობისთვის. ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი და მთელი მსოფლიო.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში შესუსტდა ჭეშმარიტი რწმენა და იმძლავრა უღმერთობამ; შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპი – ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისმიერი მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.

დღეს, როგორც არასდროს, გაჩნდა რეალური საშიშროება იმისაც, რომ ადამიანის ეგოცენტრულობამ საფრთხე შეუქმნას იმ მიზანს, რისთვისაც საერთოდ დავიბადეთ, რადგან მსოფლიო ტექნოლოგიურად ვითარდება, მაგრამ მას ჩვენი სულიერი წინსვლა ჩამორჩება და ვდგებით მრავალი ფსიქოლოგიური და ბიოეთიკური გამოწვევის წინაშე.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელოვნური ინტელექტიც, რასაც სამეცნიერო წრეებში მანქანური სწავლებით მიღებული ხელოვნური ინტელექტის მოდელს უწოდებენ. ცნობილია, რომ ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, უდიდესი გარდატეხა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა ადამიანის სულიერი განვითარების გარეშე, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

უფრო და უფრო მკვეთრად დგება კითხვა: შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და თუნდაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი? თუ თავის თავში დაჯერებული, თავისივე ქმნილებით მოხიბლული და მასზე მიჯაჭვული ადამიანი ღმერთს კიდევ უფრო განეშორება?

ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების და იმ სპეციალისტების შეხედულებების გაცნობა, რომელთაც ხელოვნურ ინტელექტთან აქვთ შეხება, რადგან უახლოეს მომავალში ყველა ამ ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება და აუცილებელია, ჩვენი საზოგადოება მომზადებული შეხვდეს მას.

ერთი რამ კი ცხადია: თითოეული ჩვენგანი უნდა ისწრაფვოდეს პიროვნული სრულყოფილებისკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ღვთის შეცნობის და მისი ჭეშმარიტების წვდომის სურვილს გულისხმობს.

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისავსით, ამიტომაც, ცოდნასთან ერთად, საჭიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.

* * *

ღვთის ერში, ძველი აღთქმის წიაღში, დაიბადა დედათა შორის კურთხეული, ყოვლადწმინდა ქალწული, რომლის მიერაც იშვა მაცხოვარი სოფლისა – ადამისა და ევას ცოდვათა და ცრემლთა აღმხოცველი.

უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა კვლავ გაეგრძელებინა განსწავლა კაცობრიობისა, როგორც ამას ედემში, ჩვენს პირველმშობლებთან მიმართებაში იქმოდა.

ქრისტიანობის ისტორია სავსეა ჭეშმარიტად განსწავლული ადამიანებით, რომელთა შრომები სიბრძნის ულევი წყაროა.

გავიხსენოთ მოციქულები, აგრეთვე წმინდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვანი მრავალნი.

გავიხსენოთ სოლომონ ბრძენიც და მისი სიტყვები: „მან (ღმერთმა) მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმსწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა 7, 17- 21).

მოვიხსენოთ ადამიც, რომელსაც, ყველასგან განსხვავებით, სამოთხისეული განსწავლა, შემდგომ კი, ჩადენილი ცოდვის გამო, ღრმა სინანული ჰქონდა.

ამიტომაც მან და მისმა შვილმა, სეითმა, მთელი ცოდნა და ძალისხმევა ღმრთის სათნოყოფისთვის და მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისკენ მიმართეს, განსხვავებით კაენისა და მისი შთამომავლებისაგან, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს და თავიანთი მონდომება ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ წარმართეს; აღარ ზრუნავდნენ სულზე და სიკვდილის შემდგომი მდგომარეობაც აღარ აინტერესებდათ.

კაცობრიობაც მთელი თავისი განვითარების მანძილზე ამ ორ გზას შორის მერყეობდა და მერყეობს.

როგორი იქნება ჩვენი არჩევანი?

თუ შევძლებთ სწორი ურთიერთობები ვიქონიოთ ღმერთთან, ადამიანთან, ბუნებასთან, მიკრო და მაკროკოსმოსთან, ვერავითარი ტექნოლოგიური მიღწევა ვერ გაგვაუცხოებს შემოქმედისგან, არამედ მათი მართებულად გამოყენების შემთხვევაში, იგი იქცევა ჩვენი გონებრივი და სულიერი წინსვლის დიდ საშუალებად.

ამიტომაც დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს ხსნას.

იგია სრული სიყვარული და სიკეთე, სრული ცოდნა, მშვიდობა და სიბრძნე, რომელიც მარადიულად და დაუსრულებლად განაახლებს, განაბრძნობს და განწმენდს მის თანაზიართ.

ყველას, ვინც მაცხოვრის შობის სიხარულით ცოცხლობს, ვულოცავ ამ დიდებული დღის შემობრძანებას. ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენგანს; ვულოცავ ხელისუფალთ, უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენს ერთგულ მრევლსა და სასულიერო პირებს! ვულოცავ ჯარისკაცებს, სპორტსმენებს, მეზღვაურებს, ექიმებს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ყველა სხვა დამაშვრალს; ვულოცავ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალშობილებს; ვულოცავ პატიმრებს, სნეულებაში მყოფთ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულთ...

ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის მოვლინებას!

სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით, და არაფრის შეგეშინდეთ!

უფალთან არ დაგეკარგებათ თუნდაც ერთი გულითადი ლოცვა და სინანულის ცრემლის ერთი წვეთიც კი. გწამდეთ, ყველაფრის მიუხედავად, იესო ქრისტეს ყოველთვის ჩვენთვის მაცხოვნებელი გზით მივყავართ; ამიტომაც მუდამ იყავით მადლიერნი მისი და გქონდეთ სასოება.

ვინც ღმერთი ჰპოვა, უმთავრესი შეიძინა; ღმერთს განშორებული სული კი კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული.

და კიდევ, – ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს.

„უპირატეს ჟამთა მამისგან შობილსა ძესა და ქალწულისაგან ხორცშესხმულსა, ყრმანი აქებდით, მღვდელნი უგალობდით და ერნი უფროისად აღამაღლებდით უკუნისამდე“ (ძლისპირი), ამინ!“

ბეთლემში შობილი იესოს
სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი, ქრისტეშობა, 2024

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისავსით, ამიტომაც, ცოდნასთან ერთად, საჭიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲡ 90 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ 90 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲡ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲡ.

ზურაბ წერეთელი 1934 წლის 4 იანვარს თბილისში დაიბადა. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ უჩა ჯაფარიძე, აპოლონ ქუთათელაძე, იოსებ შარლემანი და ვასილ შუხაევი. სტუდენტობის პერიოდში ის ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და სხვადასხვა გამოფენის ხშირი სტუმარი იყო. მას თავიდანვე იზიდავდა მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება: პანო, მოზაიკა, ვიტრაჟი და სკულპტურა. 1959-1966 წლებში, ზურაბ წერეთელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მხატვარ-არქიტექტორად მუშაობდა და ხშირად მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 1965 წლიდან ის საქართველოს მხატვართა კავშირის ფონდის მთავარი მხატვარი გახდა, ხოლო 1981 წლიდან – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1983 წლიდან ზურაბ წერეთელი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონუმენტურ–დეკორატიული ხელოვნების კათედრის გამგე იყო, 1987 წლიდან კი საქართველოში მის მიერვე დაარსებული დიზაინერთა შემოქმედებით კავშირს ხელმძღვანელობდა.

1989 წელს ზურაბ წერეთელი საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციაში გადავიდა და 1997 წლიდან რუსეთის სამხატვრო აკადემიას ჩაუდგა სათავეში. ამავე წელს ნიუ–იორკის შტატის ბროკპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ხდება. 1999 წლიდან – მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი და მისი დირექტორი, 2000 წლიდან – ხელოვნების გალერეის დირექტორია.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო მადლიერებას გამოთქვამს ზურაბ წერეთლის მიმართ – 2021 წელს, მისი უშუალო მხარდაჭერითა და მონაწილეობით, 2003 წელს რუსეთის ფედერაციისთვის საქართველოდან დროებით საექსპოზიციოდ გადაცემული ნამუშევრების – ბორის ფოგელი – „თელავი“ (1936 წელი); ევგენი ლანსერე – „ხევსურეთი“ (1926 წელი); ბორის ფოგელი – „სასულიერო სემინარია“ (1934 წელი); გრიგორი გაგარინი – „ქართველი ქალები“ (1854 წელი); ლევ ლაგორიო – „ანასტასია ორბელიან–გაგარინას პორტრეტი“ (1850 წელი), კარლ ჟუკოვსკი – „ივანე ანდრონიკაშვილის პორტრეტი“ (1850 წელი) – საქართველოში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, დაბრუნების გამო. ეს ნახატები წლების განმავლობაში რუსეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის საცავებში ინახებოდა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო საიუბილეო თარიღს ულოცავს ხელოვანს, დღეგრძელობასა და კვლავაც მრავალ შემოქმედებით წარმატებას უსურვებს.

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ - ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ

„ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ დიდი, პოპულარული და მნიშვნელოვანი პროდუქტია ქართული ტურიზმისთვის.

ჩვენც, ტურიზმის ადმინისტრაცია აქტიურად ვთანამშრომლობთ ღვინის სააგენტოსთან და მუდმივად ვახორციელებთ ქართული ღვინის პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ. ქართული ღვინის ცნობადობის მომატება თავისთავად საქართველოს ცნობადობას, როგორც დანიშნულების ადგილის ცნობადობას უწყობს ხელს“, – აღნიშნა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **ᲛᲐᲘᲐ ᲝᲛᲘᲐᲫᲔᲛ.**

„ᲠᲐᲠᲘᲒ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ...“

2023 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲙᲚᲐᲡᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲥᲐᲮᲓᲘᲗ...

ინიციატორი გახლდათ ამავე სკოლის (ხორნაბუჯის სკოლის) სასწავლო ნაწილის გამგე, პედაგოგი მარიკა პოპიაშვილი (ისტორიკოსი) და სკოლის დირექტორი ქალბატონი თამარ ქეთელაური.

ჩემი ლექციის თემა იყო „გრამატიკის პოეტიკა და პოეზია ყველასთვის, მარტივად... რადგან სულ ორიოდე კვირის წინ გალაკტიონის დაბადების დღე იყო და რადგან სახელმწიფოებრივი აზროვნების წინ წამოწევა იყო, არის და იქნება ჩემი მთავარი მიზანი ყველა საქმეში, ქალბატონ მარიკა პოპიაშვილთან ერთად შევარჩიე ჩვენი დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის უმარტივესი ლექსი – „რარიგ კარგია სამშობლოვ“, ანუ „სიმბოლიზებული ქართლის ცხოვრება“.

მართალია, ხორნაბუჯის სკოლაში თავიდან მხოლოდ ჩემი ჩასვლა იგეგმებოდა, მაგრამ ვიცოდი რა, ჩემი კოლეგის, ქეთევან გოდერძიშვილის შრომების შესახებ ონომასტიკაში, ახლოვდებოდა რა მისი დაბადების დღე, მინდოდა კახეთს, დედოფლისწყაროს დიდი ხნის მოწყვეტილი ასეთი კარგი შვილი ხელახლა გაეცნო. ის მართლაც ჩინებული ონომასტიკოსია, მკაცრი მეცნიერული განაწესით. მაშასადამე, ვიყავით სამი ენათმეცნიერი. ჩემი ძვირფასი კოლეგები: ფილოლოგიის დოქტორი, ენათმეცნიერ/ონომასტიკოსი ქალბატონი ქეთევან გოდერძიშვილი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

დოქტორი, თურქოლოგი ქალბატონი მარიკა ჯიქია.

მე რომ დავგეგმე, მთლად ისეთი არ გამომივიდა ლექცია, მაგრამ მგონი, მოეწონათ, რადგან კითხვები დამისვეს და მისამართიც მთხოვეს.

უაღრესად საინტერესო იყო ფილოლოგიის დოქტორის ქალბატონი ქეთევან გოდერძიშვილის სიტყვა ონომასტიკის შესახებ, მის პრობლემებსა და გამოწვევებზე, მეცნიერის კეთილსინდისიერებაზე. მან მიბლიოთეკას გადასცა თავისი კაპიტალური ნაშრომი „შვიდი საზღვრისპირა რეგიონის ტოპონიმების ლექსიკონი“, ცალკე „დედოფლისწყაროს ტოპონიმები“, თავის ლექსთა კრებულები აჩუქა მოწაფეებს...

ბოლოს მან რამდენიმე საინტერესო ლექსი წაგვიკითხა და ბავშვების გული მოიგო...

ქალბატონმა მარიკა ჯიქიამ, თურქოლოგმა, „თურქულ-ქართული ლექსიკონის“ და ბევრი უაღრესად საინტერესო შრომის ავტორმა, დარბაზის შეკითხვებიდან გამომდინარე, ისაუბრა თურქიზმებზე ქართულ გვარებში, ძალიან აქტიური იყო დამსწრე საზოგადოება. მანვე, აღფრთოვანებულმა იქ მყოფთა მოთმინებითა და წადილით ბევრის გაგებისა, საინტერესოდ შეაჯამა ჩვენი შეკრება..

გულწრფელი მადლობა ღონისძიების ინიციატორს, ხორნაბუჯის სკოლას, მის მესვეურებს, ჩვენთვის სივრცის გამომყოფ საჯარო მიბლიოთეკას, მის დირექტორს, ქალბატონ მანანა მაჭარაშვილს, მიბლიოთეკის უაღრესად მოკრძალებულ თანამშრომლებს...

ამ სტუმრობამ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანი, ჰაერივით საჭირო ყოფილა ჩვენი ხალხისთვის „საპოხად“ (ვაჟა) სიტყვა, „ღვიძლი სიტყვა“ (ილია). და მართლაც, „რარიგ კარგია, სამშობლოვ...“ ყოველივე ამას რომ იხილავ, მასპინძლებს გახარებულებს დატოვებ, თვითონაც ფრთებშესხმული წამოხვალ და უკეთილშობილეს კოლეგას, ქეთევან გოდერძიშვილსაც წინსწრებით მიულოცავ დაბადების დღეს მეცნიერსა და პოეტს...

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲯᲔᲠᲕᲐᲚᲘᲫᲔ

მონოგამები ერთხელ ცდებიან!

ორიოდ შტრიხი იოსებ ჭუმბურიძის პორტრეტისთვის

ცნობილი ადამიანები სტილს სულ სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ხოლო, რაც შეეხება პირადად ჩვენს აზრს, იმ სხვადასხვანაირი განმარტებებიდან, უყოყმანოდ ვემხრობი ჯონათან სვიფტს: „სტილი – ესაა საჭირო სიტყვა საჭირო ადგილას“

თავისთავად ცხადია, რომ, თუკი საჭირო სიტყვას საჭირო ადგილას გამოვიყენებთ, ფრაზა მოკლე, კომპაქტური და ლაკონიური გამოვა.

მოკლე ფრაზის დიდოსტატები იყვნენ და არიან: ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, აკაკი გაწერელია, გერონტი ქიქოძე, გურამ ასათიანი, მუხრან მაჭავარიანი, რეზო კვესელავა, ივანე ამირხანაშვილი, მაკა ჯოხაძე, მურმან ჯგუბურია...

რისთვის დამჭირდა ეს შესავალი? ეტყობა, ნამდვილად ძნელია „მოკლედ თქმა“!

არა მაქვს იმის პრეტენზია, თითქოს ყველაფერს ვკითხულობდე, რაც „ორივე მხარეს“, „იქით და აქეთ“ (ამასაც მოვესწარით!) ქვეყნდება, მაგრამ, მეც თუ ვინმესი უნდა მშურდეს, უპირველესად, ბატონი იოსებ ჭუმბურიძისა!

როდესაც, ამ სამიოდე წლის წინათ, იგი კულტურის მინისტრის **თეა წულუკიანის** მრჩეველად დანიშნეს, ერთი წიოკი და ვაი-უშველელი ატეხეს „იქითა მხარეს“: ვინაა, რა დაუწერია, რა შეუქმნიაო? არადა, თუ ქვეყნად სამართალია, საკითხავი სწორედ ისინი გახლავან!

რაოდენ საწუხარია, რომ პოლიტიკური ასპარეზი ევიწროებათ და ახლა კულტურის სფეროშიც ცდილობენ წყლის ამღვრევას! მაინც, რა არ მოსწონთ, რა ვერ აუტანიათ ბ-ნი იოსების, მოდური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ბეჭვრაუნდში: სოციალური წარმომავლობა? – მშრომელი გლეხის ოჯახი; განათლება? – სწავლული ფილოლოგი (დოქტორი); სამსახურეობრივი „კიბე“ – გაზეთ „თბილისის“ ნახევარშტატიანი კორესპონდენტობიდან მთავარ რედაქტორობამდე; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირებისა და თეატრალური საზოგადოების წევრი; 2020 წლიდან – კულტურის მინისტრის მრჩეველი; ოჯახური მდგომარეობა? - ტრადიციული ქართული (მონოგამების ერთობა)!

ამ „მონოგამებზე“ გამახსენდა და, როგორც ესეის სჩვევია, უნდა გადავუხვიო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 23 ოქტომბრის ნომერში წავიკითხე ბატონი **ზიძინა დვალის** საინტერესო წერილი – „კოჭლი იხვი და პატარა კაცები“: „ტვ-პირველის“ წამყვანი ესაუბრება თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ბ-ნ დავით თევზაძეს: „ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი „კოჭლ იხვად“ მოიხსენია და თქვენ რას იტყვითო? – ნუ, უზრდელი ყოფილაო!

ვინც იოსებ ჭუმბურიძის ესეითა კრებულს - „დაბმული უკვდავება“ – **მკითხველის** გულისყურით გაეცნობა, უდავოდ ირწმუნებს, რომ მისი ავტორი იმ მცირერიცხოვან მწერალთა რიგს ემატება, ზემოთ რომ მოვიხსენიეთ.

ნამდვილად ძნელია მოკლედ და ლაკონიურად წერა; ცხონებული მუხრანი რომ მოვიშველიო, „ბევრი მგოსანი გამხდარიყო ამ საქმის წერა“!

ბატონი იოსების 2020 წელს გამოცემული წიგნი „დაბმული **უკვდავება“** 33 გამორჩეული ესეისგან შედგება. დამეთანხმებით, 33 ერთობ საკრალური რიცხვია და ავტორს, ეტყობა, ესეც გაუთვალისწინებია. თორემ, რამდენიმე, ასევე გამორჩეული წერილი, ვთქვათ, პოეტ ვანო ჩხიკვაძის შემოქმედებაზე „ძირითად შემადგენლობაში“ ვერ მოხვედრილა.

ვრცელი იხსნება ილია მართალის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი, ფორმითაც და შინაარსითაც მეტად ორიგინალური ესეით – „ილია, ანუ დიდი ანალოგოსი“ („ანალოგოსს“ ამაოდ დაუწყებთ ლექსიკონებში ძებნას, – კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებია: „მე როგორც ვწერ, ისაა ლიტერატურული“).

მოცულობით, ეს ერთობ პოეტური ტექსტი, ჯადოსნურად იტევს მთლიან ილია ჭავჭავაძეს.

„მოსემ, ორმოცწლიანი მოგზაურობის შემდეგ, უფლის რჩეული ერი ქანაანის (დღევანდელი „ღაზას“ – **ბ. ზ.**) მთასთან მიიყვანა, თვითონ შორიდან გახედა აღთქმულ ქვეყანას“ და 120 წლისა მიიცვალა.

70 წლის ილია მართალი კი ორმოცდასამწლიანი დაუღალავი მოღვაწეობის შემდეგ, წიწამურთან იმიტომ მოკლეს, ღვთისმშობლის წილხვედრი ერი, მისივე წინამძღვრობით გათავისუფლებული რომ ენახა!

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ“, – **იტყვის** ვაჟა.

გალაკტიონი კი **დაწერს:** „არ ამაოდ მიუშვირა ტყვიას ჭავჭავაძემ განიერი მკერდი“!

დიახ, მიუშვირა!

იცოდა, რომ მოკლავდნენ.

წინათგრძნობაც კარნახობდა.

სხვებიც არ ურჩევდნენ იმ დღით საგურამოში წასვლას. არ დაიშალა“.

დარწმუნებული ვარ, შესაძლებელი რომ გახდეს ამ ერთთაბახიანი ჩინებული ესეის საერთაშორისო ენებზე სრულყოფილად თარგმნა, მილიონობით უცხოელ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ფენომენალურ ისტორიულ მოღვაწეზე.

ახლა კი ის, რაც ცოტათი დამაკლდა გულს.

ხატი, რჯული! – ავტორის სამუნათებლად არ ვამბობ.

ნათქვამია, მიუზვეველს ნუ მიაჩვევო!

ბატონი იოსები ძალიან გვანებივრებს თავისი სხარტი, ლაკონიური, ლამის, ყოვლისმომცველი თხრობით.

მკითხველსაც „მადა მოსდის“ და მეტის გაგების დაუოკებელი სურვილი უჩნდება.

დიდი ილია მართალის უპირველესი თანამოაზრისა და გვერდში მდგომი თანამებრძოლის, აკაკი წერეთლის გამოსამშვიდობებელი სიტყვას, თითქოს, რაღაც დააკლდა და აი, ეს „რაღაც“-აც: **„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ, იმასთან ერთად, შენც უკვდავი ხარ და თუ სასიკვდილოა, როგორც სხვებსა ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით, წინ უსწარი სიკვდილს და მკვდარს ვეღარა ნახავ. მშვიდობით ძმაო, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“!**

ვიდრე ბოლო წერტილს დავსვამდე და ახალ ესეიზე დავიწყებდე საუბარს, თუ ნამეტან უტაქტობად არ ჩამეთვლება, ერთ ჭორ-მართალს გავიხსენებ ჩემი სტუდენტობის წლებიდან.

ერთ დღესაც იყო, ცხონებული ივანე ქავთარაძე, დოქტორი, პროფესორი, რომელიც ქართულ ენას გვიკითხავდა, გვიყვება ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ის პერიოდიაო, როდესაც „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, ანბანის რეფორმასთან დაკავშირებით, ბრძოლაა გაჩაღებული და კიდევაც ამოიღესო რამდენიმე ასობგერა.

ილიამ – „ჰაეც“ ამოვიღოთ, არაფრის მაქნისიაო.

როდესაც აკაკის ეს მოთხოვნა გააცნეს, ღიმილით უთქვამს: ახლა კი დავრწმუნდი, რომ ილიას ჭკუა ჰქონიაო!

ილიას კი, როცა აკაკის ეს კომენტარი მოუსმენია, ღიმილით უთქვამს: ო, რა მაკვილაკი ენა აქვს მაგ შეჩვენებულსა, მაგასაო! გაუშვი, დარჩეს, მოთხოვნა უკან წამიღიაო!

დიდებმა ყოველთვის უწყიან ერთმანეთის ფასი!

ბატონი იოსები ნამდვილად არ გახლავთ „შთამომავლობითი გენების“ მქონე, - არც ბაბუა ჰყოლია ლიტერატორი და არც – მამა.

მოგეხსენებათ, ქართველებს ერთი ბრძნული ანდაზა გვაქვს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“! თანაც, ეს ისეთი შემთხვევა არაა, როდესაც შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება. რადგან, საკმარისია, მამა-შვილს თანმიმდევრობა შეუცვალოთ, რომ აბსოლუტურად განსხვავებულ ქვეტექსტს მივიღებთ: „დედა ნახე, შვილი ნახე, მამა ისე გამონახე“! განსხვავებული კია, მაგრამ დამაფიქრებელიც ნამდვილადაა (ჭირს ბიოლოგიური მამის მიგნება!).

სიტყვამ მოიტანა და, ქალბატონ ნინო თავშავაძესა და ბატონ იოსებს ჯუმბარიტად მონოგამიური ოჯახი აქვთ. ისეთი, როგორიც ჰქონდათ: ქალბატონ მარიკა და ბატონ სიმონ ჩიქოვანებს, ქალბატონ მედეა ჯაფარიძესა და ბატონ რეზო თაგუკაშვილს, ქალბატონ ნათელა იანეოშვილსა და ბატონ ლადო ავალიანს, ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძესა და ბატონ ზაზა მიქაშავიძეს... და როგორიც აქვთ უგრეგელ ირმა სოხაძესა და ბატონ რეზო ასათიანს! და, რაოდენ საანუხარი და სავალალოა, რომ ასეთი მონოგამიური წყვილები თითზე ჩამოსათვლელნი არიან!

ნინოს მშობლებისა და ჩემი დის ოჯახები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. ასე რომ, როგორც იტყვიან, ნინო ჩემ თვალწინ გაიზარდა. იგი ბალღობიდანვე იქცევდა ყურადღებას თავისი მორიდებულობით, სიმშვიდითა და სიბეჯითით.

სოსოც კარგა ხნის ნაცნობი იყო, როგორც გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი, მაგრამ არაფერი ვიცოდი მათ ურთიერთობაზე და, როდესაც დაქორწინდნენ, მივხვდი, რომ თბილისს ერთი მყარი, ფუძეძლიერი ოჯახი შეემატა.

ბუნებრივია, ესეიზე მუშაობის დროს, ინტენსიურად მიწევდა მათზე ფიქრი. ერთი დღეც იყო და თავისთავად აედევნა ფიქრს გარითმული სტრიქონები „მამებისა“ და „შვილების“ სტილში. **ნინო:** „ცოტას მთქმელი (არადა, დედა გურული ჰყავს, ქ-ნი ნორა!)... ცოტას მთქმელი, საქმის მქნელი, ზნეკეთილი, ჭკვანათელი, ნინოს ხელში სოსოს ეთქმის: შაშზე მიზის კამათელი!“

* * *

...დაგვეთანხმებით, იშვიათზე იშვიათია ისეთი ავტორი, რომელიც თანაბარი ინტელექტუალური დონით საუბრობდეს მწერლობაზეც, მუსიკაზეც, მხატვრობაზეც, არქიტექტურაზეც, კინოსა თუ თეატრზეც.

ბატონი იოსები სწორედ იმ იშვიათთაგანია.

თანაც, გულგარეთ კი არ გვიყვება, ინფორმაციას კი არ გვაწვდის, ფერმწერივით გვისურათხატებს; მოწაფის პოზიციაში კი არ გვაყენებს, დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც კარგად იცოდით, მე მხოლოდ შეგახსენეთო!

ერთი სიტყვით, „დაბმული უკვდავების“ რომელიც გნებავთ ესეის, ისე კი არ კითხულობთ, როგორც მოწაფის საშინაო დავალებას ან სტუდენტის საკურსო თემას, არამედ, როგორც პრემირებულ ოპუსს, რომლის თანაავტორადაც გრძნობ თავს და თვალს ადევნებ, კორექტურა ხომ არ გაპარულაო!

მთავარია, კითხვა დაიწყო და მერე ისე შეუმჩნევლად შემოგეკითხება ხელში, კედლის საათისკენ ერთხელაც არ წაგცდება თვალი!

ხომ ლამის, საბავშვო ბაღიდან ვიცოდით: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი!

ჟამთასვლამ მოიტანა ახალი სახელები, რომელთაც წილად ხვდათ ამ რიგში ჩადგომა.

ავტორი შეფარვით შეგვახსენებს მურმან ლებანიძის სტრიქონს – „თავისთვის იდგა ჩრდილში, არას იტყოდა ანა“, **(ჩემგან)** მუხრანის – „აი სახლი, აი ეზო, აი ჩვენი კარმიდამო, მუხრან, ძროხა გადააბი, გენაცვალოს მამიდაო!“, და ისევ მურმანი – „ამ ცხოვრებამ – ბრძნულმან, რთულმან, ამ ბრძოლებმა – კრულმან, მტრულმან, ...ხომ არ დაიღალე, მურმან?!“

მე – ვინ! ისინი თავად განგებამ შეჰყარა ერთმანეთს.

ამ მეოცესაუკუნელ სამეულს, ანასეული თავმდაბლობით, თუმცაღა საკუთარი ღირსების ვერშელევითაც, ოცდამეერთეში გვერდით ამოუდგა საყვარელი მომღერალი ნანი ბრეგვაძე, ანუ ნანი, რომელიც „...ერთადერთია, ვინც შეძლო, ესტრადა კლასიკის დონეზე აეყვანა“ (ანზორ ერქომაიშვილი).

ფრაგმენტი წიგნიდან: „(ნანის) როცა აქებენ, თავს უხერხულად გრძნობს. განსაკუთრებით, თუ მისი კოლეგებიც იქ არიან. ზოგჯერ არ ვიცი, სად დავიმალოო.

– იცით, ანზორ ერქომაიშვილს, ამისგან დასაცავად, რა კარგი სენტენცია აქვს მოფიქრებული?

– რაო?

– თუ გენიოსს გიწოდებენ, ბედნიერებაა, თუ დაიჯერებ – უბედურება“.

– შესანიშნავია, დავიმახსოვრებ“.

ვგრძნობ, ბატონი იოსები გვარიანად შეცხადებულია – მე რა შუაში ვარო?! მაგრამ, ვკადნიერდები და მჯერა, არ იტყვის: „გასპადინ სუდია, ვსიო გავარიტ, ვსიო, გავარიტ, ნო ნასჩოტ სვინიი, ნიჩივო ნე გავარიტ“.

ჰოდა, იმას გეუბნებოდით: სხვათაშორის, ვიცნობ ერთ დამწყებ კლასიკოსს, რომელიც, როგორც კი მეტნაკლებად განათლებულ აუდიტორიაში მოხვდება, შანსს არ უშვებს, რათა ყველას გასაგონად, დამარცვლით არ გამოაცხადოს: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“-ო!

ერთხელაც იყო, ამომივიდა ყელში და, მაინც მამაშვილურად დავარიგე: შვილო, სოკრატე ბრძენი იყო და მის გამონათქვამს ოვაციით შეხვდნენ, მაგრამ, შენ რომ აღიარებ, არაფერი ვიციო, შენ ქე დაგიჯერებენ-მეთქი!

– ჰოდა, მეც ეგ მინდა, თუ დამიჯერებენო!

მაინც ტყემალზე დარჩა!

წეღან მოგახსენეთ, რომ პატივცემული ავტორი, მშრალად კი არ გვიყვება, ფერმწერივით გვიხატავს თითოეულ ესეის-მეთქი.

აი, მცირე შტრიხი ჩვენი სახელოვანი არქიტექტორისა და პუბლიცისტის, ვახტანგ დავითაიასი (ფრაგმენტი წიგნიდან): „დღეს სხვა დროა. დასჯის ფორმები შეცვლილია. ხელოვანს, თქმისთვის, სიკვდილით აღარ სჯიან. აღარც იჭერენ. დიდი-დიდი, „ჩარეცხონ“ ან უგულებელყონ, არ მოუსმინონ. ნამდვილი ხელოვანისთვის ესეც მძიმე სასჯელია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ დუმილი არ შეგვეძლოს!

ვახტანგ დავითაიას კი მართლაც „არასოდეს სწყალობდა დუმილის ღმერთი“ – არცერთ ეპოქაში, არცერთი ხელისუფლების ჟამს.“ ამ მცირე შტრიხითაც, ვფიქრობ, მშვენივრად ჩანს ბატონი ვახტანგი, პროფილშიც და ანფასშიც.



ასე რომ, „დაბმული უკვდავება“ თავისებური გალერეაა, სადაც გამართულ ვერნისაჟზე გულითადად გეპატიჟებათ ავტორი ყოველ თქვენგანს, ვისაც სურს იგრძნოს – რა განსხვავებაცაა გემოსა და გემოვნებას შორის.

გიზო ზარნაძე

P.S. ხშირად მახსენდება ხოლმე ჩემი მოწაფეობის დროინდელი ერთი სახალისო ეპიზოდი: 1946 წელია. მეშვიდეკლასელი ფრიადოსანი მოწაფე ვარ. (მოწაფის გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლაა, ბერიას უთქვამს).

ერთ-ერთ გაკვეთილზე ისტორიის მასწავლებელმა ჯიბიდან ამოიღო რაღაც მომწვანო-მოყვითალო მრგვალი ნაყოფი და გვიხსნის: ამას ჰქვია მანდარინი, რომელსაც განსაკუთრებული გემო აქვს; იგი იფცქვნება (თან ფცქვნის), სხვათაშორის, კანსაც თუ გასრესთ, სასიამოვნო სურნელი ასდის. გაფქცვნა ნაყოფი, გადმოგვხედა კლასს, რამდენიც ვიყავით, კანი იმდენ ნაწილად გაყო და დაგვირიგა.

მოვსინჯეთ, კანს მართლაც სასიამოვნო სუნი ჰქონდაა. შეეჩერებივართ მასწავლებელს, რომელსაც ერთხანს ნაყოფი ხელში ეჭირა და, ბოლოს, პირში გადაუძახა. ანუ, ვინც მხოლოდ ჩემი ტექსტის წაკითხვით დაკმაყოფილდება, იცოდეს, მხოლოდ კანის გემოს გაიგებს, ხოლო ნაყოფს ვერ დააგემოვნებს.

ბ. ზ.

◎ ევრო – 2024

უნგრეთი ავაღელვეთ!..

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ზედიზედ მეექვსედ(!) მონაწილეობს ხორვატეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში, მაგრამ ამჯერად ისეთ ქვეჯგუფში მოხვდა, მტერს და ავს.

უკვე წესად გვექცა, რომ ერთ-ერთ, თანაც მრისხანე მეტოქედ იტალია გვყავს ხოლმე და აპენინელებმა **დეიან სტანოიევიჩის** გაწვრთნილ გუნდს ბალკანური ფორუმის სასტარტო უთანასწორო ბრძოლაში ამჯერადაც ჩაუტარეს დაუვიწყარი გაკვეთილი – 22:5. სკუადრა აძურა რომ მთლიანად ტურნირის გამოკვეთილ ფავორიტად საფუძვლიანად ითვლება, კერკეტ კაკალ საგერძნეთთან მეორე შეხვედრამაც დაადასტურა – 15:8, ჩვენ კი...

თუ ვინმეზე ითქმის, ყველაზე ტიტულოვანიაო, 9-გზის ოლიმპიური, 4-გზის მსოფლიოს და კონტინენტის 13-გზის ჩემპიონი უნგრეთია, რომელსაც ტრავმირებული ბომბარდირის ვაპენსკის გარეშე შევებით. მართალია, მადიარები ზაგრებში ახალგაზრდული შემადგენლობით თამაშობენ, მაგრამ ეს ის ბიჭები არიან, შარშან მუნდიალი რომ მოიგეს და არც ელიტაში დაწინაურების ამბიცია აკლიათ, ასე რომ, ჯვაროსნებს შეღავათის იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

მით უფრო დასაფასებელია ის წინააღმდეგობა, რომელიც თანამედროვე წყალბურთის გრანდის უახლოეს მომავალს გავუწიეთ და ღირსეულად დავტოვეთ აუზი – 11:15. აღსანიშნავია, რომ მესამე პერიოდი საერთოდაც მოვიგეთ – 6:4, ერთ-ერთ ეპიზოდში კი 3 უპასუხო ბურთი გავიტანეთ და ვარგას შეგირდები ვანერვიულეთ კიდეც – 10:12, მაგრამ სენსაციას ხელი მსაჯთა რამდენიმე სადავო გადაწყვეტილებამაც შეუშალა.

დავძენთ, რომ ჰეთ-თრიქი **ახვლედიანმა** შეასრულა, პარტნიორთაგან კი ასევე მეკარე **რაზმაძე** გამოირჩეოდა, რომელმაც პენალტიც მოიგერია.

დღეს ელადელებთან მატჩი გვაქვს, თუმცა შედეგის მიუხედავად პლეი-ოფში ახალი ფორმატით მაინც აუცილებლად გავალთ.

და ბოლოს: ისტორიაში უნგრელებთან აქამდე საუკეთესო შედეგად 14:18 წაგებული შეხვედრა გვეთვლებოდა. როგორც ხედავთ, ამჯერადაც 4-ბურთიანი სხვაობით დავმარცხდით, თანაც მაშინ, როცა კონდიციებიდან აშკარად ამოვარდნილია გუნდის ლიდერთაგანი **შუშიაშვილი**. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, პროგრამა-მინიმუმი შევასრულოთ და წინა ევროპირველობის მსგავსად, რჩეულთა 8-ეულში დავიმკვიდროთ ადგილი.

◎ ხსოვნა გულისა

ტკივილიანი სტრიქონები

ცხოვრება ულმობელი კანონებით გრძელდება და არსთა გამრიგე არც შობა-ახალი წლის ფაქტორს ითვალისწინებს. ვერაფერს გავაწყობთ – უფალსაც საუკეთესონი მიჰყავს.

თემურ მახარაძე. ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებისას გავიცანით ერთმანეთი, როცა დეკლარაციების შევსებისას მამაჩემის სახელი შეიტყო და ღიმილით ჩამომართვა ხელი – მამით სეხნიები ვყოფილვართო. იქიდან მოყოლებული, ძვირფასი შოთაევიჩი სათუთად უფრთხილდებოდა არა მარტო პირადად ჩემთან, არამედ მთელ მედიასთან ურთიერთობას და ბევრთან მეგობრობაც აკავშირებდა, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, სათქმელი ყველასთვის ჩვეული პრინციპულობით მოეხსენებინა. როგორც ფეხბურთის უსაზღვროდ მოყვარული პროფესიონალი, გამძვინვარებულიც გვახსოვს, მაგრამ ვიმეორებთ – ეს იყო მართალი კაცის ემოციები, პიროვნული სისუსტეები კი, მოგეხსენებათ, ყველას გვახასიათებს.





როცა ბატონ თემურზე ვსაუბრობთ, უპირველესად მისი შთამბეჭდავი სამწვრთნელო კარიერის გამორჩეულ ფურცლებს მივაგებთ სათანადო პატივს, მათ ჩამოთვლას კი იმ გულისტკივილის ხაზგასმას ვამჯობინებთ, რომლითაც საამაყო ოჯახი, შეგირდები, კოლეგები და, საერთოდ, მთელი საფეხბურთო საზოგადოება გამოეთხოვა.

დავით ბერეკაშვილი. ქართული კალათბურთის ტალანტთა სამჭედლოს – ქუთაისის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ზაზა მაჩალაძესთან** ერთად ეროვნული ჩემპიონატის გარიჟრაჟზე მონდომებული თამაშით გამოირჩეოდა, მათი ტალანტი კი განსაკუთრებით მაშინ გაიფურჩქნა, როცა მსაჯობა დაიწყეს და ფიბას არბიტრები გახდნენ.

სუპერლიგის მატჩის დროს საკალათბურთო სამყაროს კოლორიტულმა ფიგურამ აღნიშნულ წყვილზე საუბრისას მრავლისმთქმელი შედარება მოიყვანა – ისეთივე განუყრელნი არიან, როგორიც **ზურაბ საკანდელიძე** და **მიხეილ ქორქია** იყვნენო. დაგვეთანხმებით, ეს სტრიქონები ბევრ რამეზე მეტყველებს.

სამწუხაროა, რომ სპორტის საყვარელი სახეობის უანგარო, სრულიად ახალგაზრდა მსახურს გულმა უმტყუნა.

ნათელი და სანთელი, ოსტატნო!

გია პლატონიშვილი

რეგიონულ კონფლიქტში ლიბანი არ ჩაითრიოთო!



აუცილებელია რეგიონულ კონფლიქტში ლიბანის ჩათრევის თავიდან აცილება, – ამის შესახებ ლიბანში ვიზიტისას საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჯოზეფ ბორელმა განაცხადა. მან შეშფოთება გამოთქვა ისრაელისა და ლიბანის საზღვარზე ორმხრივი ცეცხლის გააქტიურების გამო.

„აუცილებელია ახლო აღმოსავლეთში რეგიონული ესკალაციის თავიდან აცილება. აბსოლუტურად აუცილებელია ლიბანის რეგიონულ კონფლიქტში ჩათრევის თავიდან აცილება“, – აღნიშნა ბორელმა.

ისრაელის მიმართულებით ლიბანიდან ათობით რაკეტა ისროლეს. რაკეტების გაშვებაზე პასუხისმგებლობა ლიბანურმა შიიტურმა დაჯგუფება „ჰეზბოლამ“ აიღო. დაჯგუფების განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს არის პირველადი პასუხი გასულ კვირას „ჰამასის“ ერთ-ერთი ლიდერის, სალეჰ ალ-არურის მკვლელობაზე.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თქმით, ის მიიჩნევს, რომ დიპლომატიას შეუძლია გამარჯვება.

„მე ვუგზავნი ამ გზავნილს ასევე ისრაელს, არავინ მოიგებს რეგიონული კონფლიქტიდან“, – განაცხადა ბორელმა. ევროპელი დიპლომატის თქმით, ევროკავშირი არ დაიშურებს ძალისხმევას, ორი სახელმწიფოს პრინციპზე დაფუძნებული გამოსავალი რეალობად იქცეს.

სად არის „ჰამასის“ კაპიტალი?

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი „ჰამასის“ ფინანსური ქსელის შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ ფულად ჯილდოს აწესებს. კერძოდ, როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, აშშ 10 მილიონი დოლარის ოდენობის ჯილდოს სთავაზობს ინფორმაციისთვის, რომელიც „ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ ფინანსური მექანიზმების განადგურებას“ გამოიწვევს.

სახელმწიფო დეპარტამენტი დაინტერესებულია ხუთი პირის შესახებ ინფორმაციით, რომლებსაც ის „ჰამასის“ ფინანსურ ფასილიტატორებს უწოდებს. მათ შორისაა სუდანში მცხოვრები „ჰამასის“ ფინანსისტი აბდელბაზიტ ჰამზა, რომელიც, სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, მართავს მრავალ კომპანიას „ჰამასის“ საინვესტიციო პორტფელში და ჩართული იყო დაჯგუფებისთვის თითქმის 20 მილიონი დოლარის გადარიცხვის ოპერაციაში. უწყების ინფორმაციით, ჰამზას ასევე ხანგრძლივი ფინანსური კავშირები აქვს „ალ-ქაიდასთან“.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩამოთვლილი კიდევ სამი პირი – ამერ ქამალ შარიფ ალშავა, აჰმედ სადუ ჯალები და ვალიდ მუჰამედ მუსტაფა ჯადალა არიან. უწყების მონაცემებით, სამივე მათგანი თურქეთში ცხოვრობს და„ჰამასის“ საინვესტიციო ქსელს წარმოადგენს. მეხუთე პირი, რომლის შესახებაც აშშ ინფორმაციას ითხოვს, არის მუჰამედ აჰმად აბდალ-დაიმ ნასრალა, რომელსაც, აშშ-ის მთავრობის ცნობით, კავშირი აქვს ირანულ კომპანიებთან და მონაწილეობდა „ჰამასისთვის“ ათობით მილიონი დოლარის გადარიცხვაში.

კადიროვმა ამერიკასთან ვაჭრობა დაიწყო...

ჩეჩნეთის მეთაურმა რამზან კადიროვმა აშშ-ს შესთავაზა, მისი ოჯახის წევრებს უკრაინელი ტყვეების სანაცვლოდ სანქციები მოუხსნან. ოჯახის წევრების სია კადიროვმა ამერიკის ყოფილ მზვერავს სკოტ რიტერსს გადასცა, რომელიც გროზნოში იმყოფებოდა.

კადიროვი ამტკიცებს, რომ სანქციებს ეფექტი არ აქვს, თუმცა, არ აკონკრეტებს, იმის მოხსნას, რასაც ეფექტი არ აქვს, რატომ ითხოვს. ჩვენი სტუმრისთვის საინტერესო ინფორმაცია გვაქვს. გვყავს ტყვეები, რომლებიც დონეცკსა და ლუგანსკში ავიყვანეთ... თუ ისინი დედაჩემს, ჩემს დებს სანქციებს მოუხსნიან... ჩემს გარდა... და თუკი ცოტათი კიდევ გაამკაცრებენ პირადად ჩემს მიმართ სანქციებს, ჩვენ მათ ტყვეებს გადავცემთ, – თქვა კადიროვმა. იქვე კადიროვმა აჩვენა ვიდეომიმართვა, სადაც უკრაინელი ტყვეები ითხოვენ, ჩეჩნეთის მეთაურის ოჯახის წევრებს სანქციები მოუხსნან.

ლუკაშენკო უვადო პრივილეგიებს აკანონებს

უვადო პრივილეგიები, ოჯახის დაცვა და დევნის აკრძალვა – ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ბელარუსის პრეზიდენტის შესახებ კანონში ცვლილებებს ხელი მოაწერა.

დოკუმენტის თანახმად, ქვეყნის გადამდგარი პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ჩადენილი დანაშაულებისთვის. ასევე, საპრეზიდენტო თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, დოკუმენტის მიხედვით, ლუკაშენკო შეძლებს გახდეს სახალხო კრების დელეგატი და უვადო სენატორი. შემოსავლის წყაროს მიუხედავად, ცვლილებები ითვალისწინებს, რომ მას უვადოდ დაენიშნება ყოველთვიური, ხელფასის ოდენობის ანაზღაურება. ცვლილებები ქვეყნის პარლამენტმა დეკემბერში მიიღო. პრეზიდენტის მოთხოვნების გარდა, პარლამენტი საპრეზიდენტო კანდიდატის მოთხოვნებსაც ცვლის, რომლის მიხედვითაც კანდიდატს შეუძლია გახდეს პრეზიდენტი თუ ის ბელარუსის მოქალაქეა დაბადებით, არის არანაკლებ 40 წლის და არჩევნებამდე, მინიმუმ 20 წელია ცხოვრობს ქვეყანაში და არ აქვს ბინადრობის ნებართვა, ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

მოლოცვა ერეკლეს ქალაქიდან

დავლოცოთ წელი, ახალი!..

ძველი წავიდა — მშვიდობით,
დავლოცოთ წელი, — ახალი!..
გარეთ ნდობით და... შინ ნდობით,
ხვალე გვაძლევდეს — სხვა ხალისს...

ცას ამშვენებდეს — ლაჟვარდი,
ძველს გაჰყვეს — დარდის წვა,
— ნეტავ...
მიმოიფინოს გზა — ვარდით,
ილხენდეს — მთელი პლანეტა...

დრო გაქრეს: ისრის, მშვილდობის,
აღარ დავმარხოთ — ღირსება,
სიდიადეა, — მშვიდობის,
ვინც სიყვარულით ივსება...

წლები, წამი — წამ, დამდენი —
გავწელეთ ტანჯვის წამებად,
გადავიტანეთ — რამდენი:
შუღლი, ჯვარცმა და წამება...

ომი, დღეს, — დიდი რეტია...
და... ნიშანია — სიგიჟის, —
ათასჯერ, უფრო, მეტია, —
ომზე — ბათოსი, ჩინგიზის...

ყველგან და... ყველამ — სულიდან,
ავი მიზნები აყაროს,
გაგება იყოს — სრული და...
აყვავდეს — აზრის სამყარო...

ვისაც — იესოს სვე დაჰყვა,
ილიას თვალებს, ვინც ახელს,
კი არ ვდევნიდეთ, გეთაყვათ?!..
გულზე ვიწერდეთ მის სახელს...

სისხლით და ცრემლით ნამულის,
გვიყვარდეს — მზეც და გრილოცა...
ჩვენი — ჯვარცმული მამულის
წინსვლას უფალიც გვილოცავს...

ყველამ დავთარსოთ — თარსი და...
გამრავლდეს — წრფელი, ალალი,
აღარ ისმოდეს, არსიდან:
ვაი, ვიში და... ვალალი!.

არავინ დარჩეს — საცალო,
ავსხივდეთ სხივით, — ათასით,
სადიდებელი დავცალოთ —
უფლის, — ცხრა ყანწი,
ცხრა თასი...

არ გვდევდეს ქაჯი — კივილით,
საბმელით — ჭკუით ბრმაც ებას,
წარსულს ჩაბარდეს — ტკივილი, —
ხვეჭა, „მე“ — ობა, ტაცება...

სახელი სიბრძნით გაგვეთქვას, —
სულ, დარი იყოს — სადარი...
აღარასოდეს არ გვეთქვას:
ძმობა, ერთობა სად არის?!..

იყოს: ლხინი და... ქორწილი, —
ყველგან — სოფლად და ქალაქად...
ბედნიერებით, — ორწილი:
ხვავი, დოვლათი, ბარაქა!...

დღის, ღამის იყოს — სიმკვეთრე,
გვქონდეს: მზით სავსე — გულები,
ულევი — სიბრძნის სიკეთე...
და... სიყვარულიც — ულევი!..

არ მოგვეშალოს, — აროდეს:
რწმენა, იმედი — ხვალისა...
მთელი მსოფლიო ხარობდეს,
სიცოცხლე გვექცეს — ხალისად!..

ფარნა რაინა,
თელავი, 1.01.2024 წ.

კაკული გურიელაშვილი უკურნებელმა სენმა შეიწირა!

59 წლის ასაკში, მომღერალი **კაკული გურიელაშვილი** გარდაიცვალა. ინფორმაციას სოციალურ ქსელში მისი ვაჟი მიშელ გურიელაშვილი ავრცელებს.

„დიდი მწუხარებით ვწერ, რომ მამაჩემის სული სამყაროს შემოქმედმა ჩაიბარა...“ – წერს მომღერლის შვილი. მომღერალი მძიმე სენს ებრძოდა.

ლევან კაშმაძე გარდაცვლილი იპოვეს

ემიგრანტების რჩეული მომღერალი, **ლევან კაშმაძე** გარდაცვლილი ნახეს. სამწუხარო ინფორმაციას შოთო სიხარულიძე ავრცელებს.

„გლოვობს ჩემი სამტრედია, კულაშში გარდაიცვალა მომღერალი, ლევან კაშმაძე. დაიძინა და ვეღარ გაიღვიძა... ენით აუწერელი ტკივილი დაგვიტოვე, გაანადგურე და თავდაყირა დააყენე ყველას ცხოვრება, ვინც გიცნობდა, ნათელში იყავი ჩვენო ყველასგან და ყველაფრით გამორჩეულო და განსაკუთრებულო.

მოიხსენიეთ ახლად შესვენებული ლევანი... კიდევ ერთი ახალგაზრდის თვალებში ჩამქრალი სიცოცხლე...“ – წერს სიხარულიძე.

ალბანეთში საქართველოს 2 მოქალაქე გამოიჭირეს

ალბანეთში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, 32 და 36 წლის კაცები დიდი ოდენობით მოპარული ძვირფასეულობის ალბანეთიდან სამერძნეთში გადატანას ცდილობდნენ. სავარაუდო დამნაშავეებს სამკაულები მანქანაში ჰქონდათ დამალული.

ალბანეთის პოლიციაში განმარტავენ, რომ დაკავებულებს თან ჰქონდათ 6 000 ევრო ნაღდი ფული, ასევე, ქურდობისთვის სხვადასხვა ხელსაწყოები და მოწყობილობები. დაკავებულების მანქანიდან ამოღებულია 190 სახეობის ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, სამაჯურები, ყელსაბამები, ოქროს მონეტები, „როლექსის“ საათი და მარგალიტის ყელსაბამი.

ჭიათურაში მეთერთმეტეკლასელი გოგო ტრაგიკულად დაიღუპა!

ინფორმაციას ჭიათურის №1 საჯარო სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს და დაღუპული ქეთი ფერაძის ოჯახს უსამძიმრებს.

„ქალაქ ჭიათურის №1 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგიური საზოგადოება, მოსწავლეები და მათი მშობლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის ქეთი ფერაძის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო“, – ნათქვამია სამძიმრის ტექსტში.

ავიაკატასტროფას მსახიობის სიცოცხლე შეეწირა

პარიზის ზღვაში მომხდარ ავიაკატასტროფას გერმანელი მსახიობი კრისტიან ოლივერი ემსხვერპლა. სამართალდამცველთა ცნობით, 4 იანვარს მცირე ზომის თვითმფრინავი, რომელიც კუნძულ მექიიდან სენტ-ლუსიაში მიფრინავდა, ზღვაში ჩამოვარდა.

თვითმფრინავის ბორტზე 4 ადამიანი იმყოფებოდა: 51 წლის კრისტიან ოლივერი, მისი 12 და 10 წლის ქალიშვილები და პილოტი რობერტ საქსი. თვითმფრინავის ყველა მგზავრი დაიღუპა.

თვითმფრინავს გაუმართაობა აფრენის შემდეგ მალევე გაუჩნდა. ოლივერს შესრულებული აქვს როლები ისეთ ფილმებში, როგორებიცაა „ოპერაცია „ვალკირია“, „ავტომბოლელი“ და სერიალებში „სპეცრაზმი „კობრა“, „მერვე გრძნობა“ და „პარალელური სამყაროები“.

სანთელი

ირაკლი ქავთარაძე

კაცი, რომელიც დააკლდა თბილისს

მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მათ რიგებს გამოაკლდა სამაგალითო პიროვნება, ღირსეული მოქალაქე, მზრუნველი და უანგარო მეგობარი ირაკლი ქავთარაძე.

ირაკლი ქავთარაძემ ხანგრძლივი პროფესიული გზა გაიარა. 1957 წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი) სამშენებლო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო უკრაინაში, სამშენებლო სამმართველოში; შემდგომ — ქ. თბილისში, „თბილქალაქპროექტის“ კონსტრუქტორად, „თბილგაზმშენისა“ და „ინჟმშენის“ №3 და №2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების მთავარ ინჟინრად და შემდეგ — სამმართველოს უფროსად; 1976 წელს მუშაობდა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს უფროსად; 1976-1992 წლებში — საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს თბილისის სამშენებლო სამმართველოს უფროსად, ცეკავშირის ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ მმართველად, საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს №1 სამშენებლო ტრესტის მმართველად; 1992-2004 წ.წ. — საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში;

ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის გაზსადენების, საყოფაცხოვრებო, სამშენებლო, კომუნალური, სავაჭრო და სხვა სახის ობიექტების მშენებლობას, მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის — ღირსების ორდენი, საპატიო ნიშნის მედალი.

იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ნათელი დაადგეს ირაკლი ქავთარაძის დაუვიწყარ სახელს!

მეგობრები

ყოფილი კომუნალური მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა №1 სამშენებლო ტრესტის მმართველი, ღირსების ორდენის კავალერი

ირაკლი ქავთარაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ყოფილი ცეკავშირის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ტრესტ „საქკოოპრემმონტაჟსპეცმშენის“ მმართველის

ირაკლი ქავთარაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გარდაიცვალა საუკუნის თანატოლი მსახიობი

„მერი პოპინსში“ მისის ბენქსის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი გლინის ჯონსი 100 წლისა გარდაიცვალა.

80-წლიანი კარიერის განმავლობაში ჯონსს 60-ზე მეტ ფილმსა და 30-ზე მეტ დადგმაში აქვს მიღებული მონაწილეობა. ფრედ ცინემანის ფილმში The Sundowners შესრულებული როლისთვის ჯონსი „ოსკარზე“, ხოლო ჯორჯ კიუკორის The Champan Report-ში შესრულებული როლისთვის – „ოქროს გლობუსზე“ იყო ნომინირებული. ცხოვრების ბოლო წლები გლინის ჯონსმა მოხუცებულთა თავშესაფარში გაატარა.

ვულოცავთ!

კაცი – ლეგენდა...

ამ უბერებელ ბიჭზე ლეგენდები დადის... ლეგენდები მის სიყვარულზე, ერთგულებაზე, ვაჟკაცობაზე, გამტანობასა და პროფესიონალიზმზე.

არცაა გასაკვირი, იგი ხომ მოყვასის სიყვარულში იფერფლება, გაჭირვებულისთვის იხარჯება, ნაღალატევს ერთგულობს. ჰყავს უამრავი მეგობარი, მოყვრობს მთელ საქართველოსთან....

ნაღდი კოლხია, წარმოსადეგი, დაუდეგარი, წმინდა სისხლით, ჯიშითა და მოდგმით, მეგრელთა უძველესი ტრადიციებითა და ადათ-წესებით.

ლამაზი ოჯახის თავკაცია და შთამომავლების იმ წესით აღმზრდელი, რისთვისაც იცხოვრა...

არ ეტყობა წლები, ამის საიდუმლოება თავად იცის, ეს მისი ცხოვრების წესია — ყველაფერში ზომიერება, უშრეტი იუმორი, არტისტულობა, ენციკლოპედიური ცოდნა...

ეს ლეგენდა კაცი 85 წლისა შესრულდა, თუმცაღა, ჩვენ ეს არ გვჯერა! არც თავის გულშემატკივარ ქალბატონებს არ სჯერათ და სწორედ ეს არის მთავარი...

ეს კაცი ოთარ ჭითანავაა.

* * *

მბრძ გამორჩეულად იცოცხლე, იხარე, იბედნიერე, ჩვენო უკეთილშობილესო კაცო, ილოცე და დაამშვენე შენი ლამაზი სამშობლო, შენი უსაყვარლესი ხალხი, ენა და სარწმუნოება...

ას წლამდე სამი ნაბიჯია, ოდნავ დაქვეითებულ იმუნიტეტზე სარკასტულ წუწუნს თავი დაანებე და ზუთხის მწვადებზე გადადი...

მეგობრების სახელით –
სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე

ნიკორწმინდას საფრთხე არ ემუქრება!



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ ნიკორწმინდაში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარს საფრთხე ემუქრება და არის განადგურების რისკის ქვეშ, არ შეესაბამება სიმართლეს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ტაძარს არ აქვს სტრუქტურული პრობლემები, ინტერიერში არ ხდება წყლის ინფილტრაცია და ვიზუალური დათვალიერებით კედლის მხატვრობის მდგომარეობის გაუარესება არ შეინიშნება.

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია, სააგენტოს დაკვეთით, 2018 წელს განახორციელა შპს „სელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრმა“ (ნანა კუპრაშვილი).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შემდეგი სამუშაოები: ტაძრის სახურავიდან თუნუქის ბურულის მოხსნა და ჩანაცვლება სპილენძის ფურცლებით, სარკმლებისა და კარების შეცვლა, ქვის საკონსერვაციო სამუშაოები, ინტერიერში ნალესობისა და ფერწერის რესტავრაცია, ელექტროსამონტაჟო სამუშაოები და სამრეკლოს რეაბილიტაცია. ხსენებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 946175 ლარი. სააგენტოს თანამშრომლების მიერ ობიექტის მონიტორინგი ბოლოს განხორციელდა 2023 წლის აგვისტოში. შემოწმებულ იქნა ტაძრის როგორც გადახურვის, ასევე ექსტერიერის და ინტერიერის მდგომარეობა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ, გარდა მცირე დაზიანებებისა, ძეგლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ტაძარს არ აქვს სტრუქტურული პრობლემები, ინტერიერში არ ხდება წყლის ინფილტრაცია და ვიზუალური დათვალიერებით კედლის მხატვრობის მდგომარეობის გაუარესება არ შეინიშნება. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია, რომ ძეგლს საფრთხე ემუქრება და არის განადგურების რისკის ქვეშ, არ შეესაბამება სიმართლეს.

სააგენტო კვლავაც გააგრძელებს ძეგლის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს“, – აღნიშნულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.



დიდი მაკედონელის სასახლე

16-წლიანი რესტავრაციის შემდეგ, საბერძნეთში ერთ-ერთი უძველესი სასახლე გაიხსნა, სადაც ალექსანდრე მაკედონელის კორონაცია გაიმართა. სასახლე, რომელიც საპორტო ქალაქ სალონიკთან ახლოს მდებარეობს, 2300-ზე მეტი წლის წინ ააგეს. მოგვიანებით ის რომაელებმა გაანადგურეს და მისი ნანგრევები, XIX-ის დასაწყისში, გათხრების დროს აღმოაჩინეს. სასახლის ნაწილობრივ რეკონსტრუქციაზე, რომელიც ევროკავშირის დახმარებით ჩატარდა, 20 მილიონზე მეტი ევრო დაიხარჯა.

მოზარდი, რომელმაც „ტეტრისი“ დახურა

13 წლის უილის გიბსონმა, რომელიც აშშ-ის შტატ ოკლაჰომაში ცხოვრობს, მსოფლიოში პირველმა გაიარა კომპიუტერული თამაშის „ტეტრისი“ ყველა ტური.

მოზარდს, რომელიც YouTube-ზე Blue Scuti-ს სახელით არის დარეგისტრირებული, ამისთვის სულ რაღაც 38 წუთი დასჭირდა. სწორედ ამ პლატფორმაზე ატვირთა უილისმა თამაშის ჩანაწერი. ბოლო, 157-ე ტურში ბლოკები ძალიან სწრაფად ვარდებოდა, ხაზის მორიგი გაქრობის შემდეგ კი თამაში გაჩერდა, რადგან შემდგომი პროგრამული კოდი უბრალოდ აღარ არსებობს.

„ღმერთო ჩემო, ახლა გავითიშები, თითებს ვერ ვგრძნობ“, – ამბობს უილისი ვიდეოში. ბიჭი თამაშმა 2021 წელს გაიტაცა. მას შემდეგ კვირაში დაახლოებით 20 საათის განმავლობაში თამაშობდა „ტეტრისს“ და სხვადასხვა ტურნირშიც მონაწილეობდა.

ჰარბინი ყინულის ფესტივალს მასპინძლობს

ჩინეთის ქალაქი ჰარბინი ყინულისა და თოვლის ყოველ წლიურ ფესტივალს მასპინძლობს.

ტრადიციულად, ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით გაიხსნა.

ფესტივალი 810 ათას კვ.მ ტერიტორიას მოიცავს, სადაც თოვლისა და ყინულის ულამაზესი ქანდაკებები და ნაგებობებია განთავსებული. ჰარბინი ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე ცივი ქალაქია, სადაც ჰაერის ტემპერატურა ხშირად -30 გრადუსამდე ეცემა.

ლეგენდარული მომღერალი გოგონები საფოსტო მარკებზე

ბრიტანეთის სამეფო ფოსტამ Spice Girls-ის 15 მარკა გამოუშვა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ბრიტანეთის საფოსტო სამსახურმა, მარკების ერთი სერია მთლიანად გოგონათა ჯგუფს მიუძღვნა. ჯგუფის წევრების განცხადებით, წლების წინ მსგავს მოვლენაზე ვერც კი იოცნებებდნენ და ეს მათთვის დიდი პატივია.

ჯგუფი 1994 წელს დაარსდა. თავისი სადებიუტო სინგლი wannabe-ი კი, 1996 წელს გამოუშვა. სიმღერამ გაერთიანებული სამეფოს სინგლების ჰიტ-აღლუმების სათავეში, შვიდი კვირა დაჰყო. ჯგუფი „სპაის გირლს“, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრიტანული ჯგუფია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წ.ერეთლის №116 (დიდუბის კლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6865; ევრო - 2.9310;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4011;
100 რუბლი - 2.9522; თურქული ლირა - 0.0900;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5812;
1000 სომხური დრამი - 6.6517

ამინდი 8 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+8
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge